საქონლის გაყიდვა. გაყიდვები არის აღიარებული როდესაც საქონელზე კონტროლი არის გადაცემული, როდესაც საქონელს მიიღებს მომხმარებელი ან გადამზიდი, მომხმარებელს აქვს სრული განკარგვის უფლება საქონელზე და არ არსებობს რაიმე შეუსრულებელი ვალდებულება, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება როდესაც საქონელი გაიგზავნა მითითებულ ლოკაციაზე ან გადამზიდთან, დაძველებისა და ზარალის რისკები გადაეცა მომხმარებელს, და მომხმარებელმა ან მიიღო საქონელი ხელშეკრულების თანახმად, მიღების დებულებები დაკმაყოფილდა ან ჯგუფს აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი შესრულდა.

არ იგულისხმება ფინანსირების ელემენტის არსებობა, რადგანაც გაყიდვები ხორციელდება საკრედიტო პირობებით მაქსიმუმ 90 დღეზე, რაც შეესაბამება საბაზრო პრაქტიკას.

ვალდებულება აღიარდება როდესაც საქონელი დროის კონკრეტულ მონაკვეთში ჩაბარდება და კომპენსაცია არის უპირობო, რადგან საჭიროა გარკვეული დროის გასვლა იმისთვის რომ გადასახადი გადასახდელი გახდეს.

სახელშეკრულებო ვალდებულებები. მომხამრებლებისაგან მიღებული ავანსები ან ჯგუფის უპირობო უფლებები მომხმარებლების მიერ გადახდილ კომპენსაციაზე, იქამდე სანამ ჯგუფი მიაწოდებს საქონელს, აღიარებულია როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებები. სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება როდესაც გადახდილია ავანსი ან გადასახდელია გადასახადი (რომელიც დადგება უფრო ადრე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები არის ჯგუფის ვალდებულებები გადასცენ საქონელი მომხმარებლებს, რომელთაგანაც მათ მიიღეს კომპენსაცია (ან მათ უნდა გადაიხადონ კომპენსაცია(.
მნიშნელოვანი ცვლილებები სახელშეკრულებო ვალდებულებებში საანგარიშო პერიოდისთვის, განმარტებულია შენიშვნა 14–ში.

თანამშრომლების სარგებელი. გასამრჯელოები, ხელფასები, წლიური ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები ექვემდებარება დარიცხვას იმ წლის განმავლობაში, რომელშიც მოხდა ამმომსახურებების გაწევა ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, შექმნას პენსია ან მსგავსი სარგებელის გადასახადები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოცემის შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში გაცემის შემდეგ მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტის დამოწმებას, რომელმაც გასცა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გაცემის ავტორიზაცია.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების გატარებულ რაოდენობაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც ითვლება გონივრულად, არსებული ვითარების ფარგლებში. სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას მენეჯმენტი ასევე იღებს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, გარდა იმ გადაწყვეტილებებისა, რომლებიც შეიცავს ვარაუდებს. გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ვარაუდში, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო რაოდენობაში მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს:

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ქონების, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება არის გადაწყვეტილების საგანი, რომელიც დაფუძნებულია მსგავს აქტივებთან ურთიერთობის გამოცდილებაზე. სამომავლო ეკონომიკური სარგებელის ათვისება, რომელიც განსხეულებულია აქტივებში, ხდება პრინციპულად გამოყენების გზით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული ცვეთა და ამორტიზაცია, ხშირად იწვევს აქტივებში არსებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი აფასებს სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადას აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის შესაბამისად და სავარაუდო პერიოდით, რომლის განმავლობაშიც აქტივებმა შესაძლოა ჯგუფს მოუტანონ სარგებელი. განხილულია შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე და შენარჩუნების პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რაც გამოწვეულია საბაზრო პირობების ცვლილებით.

სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა 10%–ით განსხვავებული რომ ყოფილიყო მენეჯმენტის შეფასებისაგან, გავლენა ამორტიზაციაზე 2018 წლის 31 დეკემბრისთვის გაიზრდებოდა / შემცირდებოდა 712,433 ლარით (2017: 654,246 ლარი).

მოქმედი საწარმო. ჯგუფის ჯამური მიმდინარე ვალდებულებები აჭარბებდა მის მიმდინარე აქტივებს 86,338,908 ლარით (2017 წლის 31 დეკემბერი: 91,358,822). ჯამური მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს დაკავშირებულ მხარეთა სესხების თანხას, 128,284,206 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: 128,284,206). ჯგუფის ოპერაციები და ფინანსური ლიკვიდურობა დამოკიდებული იქნება მისი მფლობელის მუდმივ მხარდაჭერაზე. მენეჯმენტს სჯერა რომ ჯგუფს აქვს წვდომა ხანგრძლივი ფინანსირების შიდა და გარე წყაროებზე, რომელიც საკმარისი იქნება უახლოეს მომავალში მისი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად და ბიზნეს საქმიანობის შეფერხებების გარეშე გასაგრძელებლად. მენეჯმენტმა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში მოამზადა მოქმედი საწარმოს საფუძველზე, რომელიც განიხილავს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაკმაყოფილებას, ბიზნესის ჩვეულებრივ მიმდინარეობაში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების შემოსავლიანობა და წვდომა ფინანსურ რესურსებზე, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე.

ECL შეფასება. ECL შეფასება წარმოადგენს მნიშვნელოვან კალკულაციას, რომელიც მოიცავს განსაზღვრის მეთოდოლოგიას, მოდელებს და მონაცემებს. ECL შეფასების მეთოდოლოგიის დეტალები წარმოდგენილია შენიშვნა 30–ში. შემდეგ კომპონენტებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საკრედიტო დანაკარგის დაშვებაზე: დეფოლტის განსაზღვრება, SICR, ასევე მაკრო–ეკონომიკური სცენარების მოდელები. ჯგუფი პერიოდულად განიხილავს და ამტკიცებს მოდელებს და მოდელებში შენატანებს, რათა შეამციროს ნებისმიერ სხვაობა მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგსა და აქტუალურ საკრედიტო დანაკარგს შორის. ჯგუფმა გამოიყენა მხარდამჭერი პერსპექტიული ინფორმაცია ECL შეფასებისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მაკრო ეკონომიკური ფორკასტის მოდელის უპირველესი შედეგი. ყველაზე მნისვნელოვანი პერსპექტიული ვარაუდები, რომელიც კორელაციაშია ECL დონესთან და მათ ასიგნირებულ წონებთან, იყო შემდეგი 2018 წლის 31 დეკმებრისთვის:

		ასიგნირებული	ვარაუდი		
ცვალებადი	სცენარი	წონა	2019	2020	2021
უცხოური ვალუტის კურსი	საბაზისო	50 %	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
	აღმავალი	25 %	10 %	5 %	5 %
	დაღმავალი	25 %	– 15 %	– 10 %	5 %

ვარაუდები და ასიგნირებული წონა იყო შემდეგი 2018 წლის 1 იანვრისთვის:

		ასიგნირებული	ვარაუდი		
ცვალებადი	სცენარი	წონა	2019	2020	2021
უცხოური ვალუტის კურსი	საბაზისო	50 %	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
	აღმავალი	25 %	5 %	52%	უცვლელი
	დაღმავალი	25 %	– 10 %	– 5 %	5 %

ნათია ნაკაშია ნ.

4 კრიტიკული ბუღალტრული მოლოდინები, და სააღრიცხვო პოლიტიკის მიღების შეფასებები. (გაგრძელება)

ბიზნეს მოდელის შეფასება. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ბიზნეს მოდელის შეფასებისას მენეჯმენტი იღებს გადაწყვეტილებას ფინანსური ინსტრუმენტების აგრეგაციის დონისა და პორთფელების განსაზღვრის საფუძველზე. გაყიდვითი ტრანზაქციების შეფასებისას, ჯგუფი მხედველობაში იღებს მათ ისტორიულ სიხშირეს, ვადებს და ღირებულებას, გაყიდვის მიზეზებსა და სამომავლო გაყიდვების აქტივობის მოლოდინს. გაყიდვითი ტრანზაქციები, რომელთა მიზანს წარმოადგენს პოტენციური დანაკარგების მინიმიზაცია საკრედიტო გაუარესების გამო, მიიჩნევა „hold to collect" ბიზნეს მოდელთან (მოდელი, რომელშიც მიზანს წარმოადგენს ფინანსური აქტივების ქონა, რათა ფინანსური აქტივი მიიღოს) შეთავსებადად. სხვა გაყიდვებიც, სასარგებლო მოხმარების ვადის გასვლამდე, რომლებიც არაა დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვის საქმიანობასთან, "hold to collect" ბიზნეს მოდელთან თავსებადია, იმ პირობით, რომ ისინი წარმოადგენენ არახშირ, ან უმნიშვნელო ღირებულების მქონეს, როგორც ინდივიდუალურად ასევე ერთობლივად. გაყიდვით ტრანზაქციის მნიშვნელობას ჯგუფი აფასებს გაყიდვების ღირებულებისა და პორთფელის ღირებულების შედარებით, ეს უკანასკნელი დგინდება ბიზნეს მოდელის შესაბამისად პორთფელის საშუალო არსებობის პერიოდის მიხედვით. ამასთან, ფინანსური აქტივის გაყიდვა, რისი მოლოდინიც არსებობს მხოლოდ სტრესულ შემთხვევაში, ან იზოლირებული შემთხვევის საპასუხოდ რომელიც ჯგუფის კონტროლის ფარგლებს სცდება, არაა ხშირი და ჯგუფის მიერ წინასწარ განსაზღვრადი, ბიზნეს მოდელის მიზნებისთვის მიიჩნევა შემთხვევითად და ზემოხსენებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის მიზნებისთვის არ ახდენს გავლენას.

"hold to collect and sell" ბიზნეს მოდელი მოიაზრებს აქტივების ფლობას ფინანსური აქტივების ნაკადების მისაღებად, თუმცა გაყიდვაც წარმოადგენს არსებით ნაწილს ბიზნეს მოდელის მიზნის მისაღწევად, მიზნისთვის, როგორიცაა, ლიკვიდურობის საჭიროების მართვა, განსაზღვრული შემოსავლის მისაღებად, ან ფინანსური აქტივების ხანგრძლივობისა და ვალდებულებების, რომლებმაც აფინანსებენ ამ აქტივებს, ხანგრძლივობის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

ფასს 9-ზე გადასვლისას, ჯგუფმა მიიჩნია საკუთარი პორთფელი, ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით აქტივების ფლობის პორთფელად.

5. ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 9-ის („ფინანსური ინსტრუმენტები") მიღება. ჯგუფმა ფასს 9, „ფინანსური ინსტრუმენტები," მიიღო 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა აირჩია, ხელახლა არ განეცხადებინა შედარებითი ციფრები და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება სტანდარტის პირველად გამოყენების დღის, 2018 წლის 1 იანვრის, მდგომარეობით არსებულ საწყის გაუნაწილებელ მოგებაში აღიარა. შესაბამისად, ფასს 7-ის („ფინანსური ინსტრუმენტები: გამჟღავნება") გადამუშავებული მოთხოვნები მხოლოდ მიმდინარე პერიოდზე ვრცელდება. შედარებითი პერიოდის გამჟღავნებად ინფორმაციაში გამეორებულია წინა წელს გამჟღავნებული ინფორმაცია.

მიმდინარე პერიოდზე მისადაგებული მნიშვნელოვანი ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა მე-4 შენიშვნაშია აღწერილი. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შედარებით ინფორმაციას მიესადაგება, წარმოდგენილია 36-ე შენიშვნაში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ათანხმებს ფინანსური აქტივების თითოეული კლასის საბალანსო ღირებულებებს, როგორც ადრე შეაფასა ბასს 39-ით, და 2018 წლის 1 იანვარს მიღებული ფასს 9-ით დადგენილ ახალ თანხებს.

	შეფასების კატეგორია		მიმდინარე ღირებულება IAS 39 თანახმ.	IFRS 9 –ის მიღებისს შედეგები	მიმდინარე ღირებულება IFRS 9 თანახმ.
	IAS 39	IFRS 9	31 დეკ. 2017	ხელახალი შეფასება	1 იანვარი, 2018 წ
ფული და ფულადი ექვივალენტები	L & R	AC	1,177,500	-	1,177,500
სავაჭრო დავალიანება	L & R	AC	10,616,948	(952,869)	9,664,079
სხვა ფინანსური აქტივების ჯამი			11,794,448	(952,869)	10,841,579
სესხები		AC	165,959,220	(1,537,107)	164,422,113
სხვა ფინანსური ვალდებულებების ჯამი			165,959,220	(1,537,107)	164,422,113

ფასს 15, "შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან" - მიღება

ჯგუფმა აირჩია ფასს 15–ზე გამარტივებული გადასვლის პრაქტიკული საშუალება, რომელიც ხელმისაწვდომია გამარტივებული გარდამავალი მეთოდისთვის. ფასს 15–ის მიღებამ გამოიწვია სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები. 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე ადგილი არ ჰქონია ფასს 15–ის მიღების მატერიალური გადასვლის შედეგებს.

5 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

წინამდებარე შესწორებული სტანდარტები ჯგუფისათვის ძალაში შევიდნენ 2018 წლის 1-ელ იანვარს, თუმცა არ მოუხდენიათ ჯგუფზე არსებითი გავლენა:

- ცვლილებები ფასს 2-ში, „აქციებზე დაფუძნებული გადახდა" (გამოქვეყნდა 2016 წლის 20 ივნისს და ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ცვლილებები ფასს 4-ში, „ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - სტანდარტის გამოყენება ფასს 4 - სადაზღვევო ხელშეკრულებები - სტანდარტთან ერთად" (გამოქვეყნდა 2016 წლის 12 სექტემბერს და ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც დროებითი გათავისუფლების მიდგომას ირჩევენ, ან როდესაც ორგანიზაცია პირველად იყენებს ფასს 9 სტანდარტს, იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც გადაფარვის მიდგომას ირჩევენ);
- ფასს 2014-2016 წლების ციკლის ყოველწლიური სრულყოფა - ცვლილებები ფასს 1-ში და ბასს 28-ში (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ფასიკ 22, „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად" (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);

- ცვლილებები ბასს 40-ში, „საინვესტიციო ქონების გადაცემა“ (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

6 სიახლეები ბუღალტრულ აღრიცხვაში

გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც ჯგუფს ჯერ არ მიუღია.

ინვესტორსა და მის ასოცირებულ კომპანიას ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კაპიტალის დაბანდება - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც განისაზღვრება ბასს–ის საფუძველზე.). მოცემული შესწორებები ეხება ფასს 10-სა და ბასს 28-ს შორის შეუსაბამობებს აქტივების გაყიდვასა ან საკუთარ კაპიტალთან შეტანასთან დაკავშირებით ინვესტორისა და მის მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში. შესწორებების მთავარ შედეგს წარმოადგენს ის, რომ სრული მოგების ან წაგების აღიარება ხდება, როდესაც ტრანზაქცია ეხება საქმიანობას. ნაწილობრივი მოგების ან წაგების აღიარება ხდება, როდესაც ტრანზაქცია მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ არიან საქმიანობის წარმოებისთვის აუცილებელი აქტივები, მაშინაც კი, როდესაც ეს აქტივები არის შვილობილი კომპანიის მფლობელობაში. ჯგუფი არ ელის, რომ ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16, „ლიზინგი“ (გამოქვეყნდა 2016 წლის 13 იანვარს და ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტი ადგენს ლიზინგის აღიარების, შეფასების, პრეზენტაციის და გამოქვეყნების პრინციპებს. ყველა იჯარა დასაწყისში მოითხოვს მოიჯარისგან აქტივის გამოყენების უფლების მოპოვებას და, თუ საიჯარო გადასახადის გადახდა ხდება ხანგრძლივი პერიოდით, აგრეთვე დაფინანსების მიღებასაც. შესაბამისად, ფასს 16 გამორიცხავს იჯარის კლასიფიკაციას როგორც საოპერაციო იჯარას ან ფინანსურ იჯარას, ბასს 17-ის პროკრედიტ ჯგუფი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2018 წლის 31 დეკემბერი 49 შესაბამისად, და ამის ნაცვლად, ადგენს მოიჯარის ერთიანი აღრიცხვის მოდელს. მოიჯარემ უნდა აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები თითოეულ იჯარაზე, რომლის ვადა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქტივები დაბალი ღირებულების არის; და (ბ) საიჯარო აქტივების ამორტიზაციას, საიჯარო ვალდებულებების შემოსავლისგან განცალკევებით, საშემოსავლო დეკლარაციაში. ფასს 16 არსებითად ავითარებს მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნებს ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას როგორც საოპერაციო იჯარას ან ფინანსურ იჯარას (ლიზინგს) და იჯარის ამ ორ ტიპს განსხვავებულად აღრიცხავს.

ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ სავალდებულო თარიღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან, სტანდარტს მოდიფიცირებული რესტროსპექტული მეთოდით გამოიყენებს, შედარებადი ინფორმაციის ხელახლა გაცხადების გარეშე. იჯარით გაცემული ქონების გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი ფასდება გადაცემისას, თითქოს ახალი წესები ყოველთვის არსებობდა და მოქმედებდა. ყველა სხვა გამოყენების უფლებით არსებული აქტივი ფასდება ქირავნობის საფასურით საქონლის გადაცემისას. (ეხება ყველა წინასწარ გადახდილ ან დაგროვებულ დანახარჯს). ჯგუფი ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 ახალი სააღრიცხვო დებულებები (გაგრძელება)

ფასს 17 „სადაზღვევო შეთანხმებები" (გაცემული 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2021 წლის იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17 ანაცვლებს ფასს 4–ს, რომელმაც კომპანიები გაათავისუფლა სადაზღვევო შეთანხმებებზე აღრიცხვის განხორციელებისგან, არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებისთვის რთული იყო შეედარებინატ და გამოერჩიათ სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შესრულება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებების ყველა ტიპის აღირცხვისთვის, მათ შორის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებები, რომელსაც ფლობს დამზღვევი. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების შეფასებას და აღიარებას:

(i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკზე მორგებული მიმდინარე ღირებულება (შესრულებული ფულადი ნაკადები) რომელიც აერთიანებს ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას შესრულებულ ფულად ნაკადებზე ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს ხილულ საბაზრო ინფორმაციას; დამატებული (თუ ეს ღირებულება არის ვალდებულება) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება არის აქტივი)

(ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუსავებელ მოგებას ხელშეკრულებების ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების ზღვარი). დამზღვევები აღიარებენ სარგებელს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან, პერიოდზე, რომლის დაზღვევასაც ისინი განახორციელებენ, და როდესაც ისინი თავისუფლდებიან რისკისაგან. თუ ხელშეკრულებათა ჯგუფი არის ან გახდება ზარალის მომტანი, ერთეული მაშინვე აღიარებს დანაკარგს. ჯგუფი არ ელის ახალი სტანდარტის რაიმე ზეგავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 23 „გაურკვევლობა საშემოსავლო გადასახადის ურთიერთობებში"; (გამოცემული 2017 წლის 7 ივნისს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს დაწყებულ წლიურ პერიოდებთან). ბასს 12 განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადები მაგრამ არ განსაზღვრავს თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობა. ინტერპრეტაცია განმარტავს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს აღიარება და მოთხოვნები ბასს 12-ში, როდესაც არსებობს გაურკვევლობა საშემოსავლო გადასახადებთან დაკავშირებით. პირმა უნდა დაადგინოს, განიხილოს თუ არა თითოეული გაურკვეველი საგადასახადო ურთიერთობა ცალკე ან ერთ ან მეტ სხვა გაურკვეველ საგადასახადო ურთიერთობასთან ერთად, რომლის საფუძველზეც მიდგომა უკეთესი პროგნოზით აგვარებს გაურკვევლობას. პირმა უნდა ივარაუდოს რომ საგადასახადო ორგანოს, რომელიც შეისწავლის თანხებს, აქვს უფლება, შეამოწმოს და ჰქონდეს სრული ცოდნა ყველა დაკავშირებულ ინფორმაციასთან დააკვშირებით, მათ შემოწმებისას. თუ პირი ასკვნის, რომ არ არსებობს იმის ალბათობა, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გაურკვეველი საგადასახადო ურთიერთობას, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო შეღავათებისა და საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრისას, ყველაზე სავარაუდო თანხას ან მოსალოდნელ ღირებულებას, იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო უკეთ მოახდენს გაურკვევლობის მოგვარების პროგნოზირებას.

პირი ასახავს ცვლილების ეფექტს ფაქტებსა და გარემოებებში ან ახალი ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილებებზე ან შეფასებებზე, რომლებიც მოთხოვნილია ინტერპრეტაციის მიერ, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება. ცვლილებების მაგალითები ფაქტებსა და გარემოებებში და ახალი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადაწყვეტილების ან შეფასების ხელახალი გადახედვა,

[illegible]

მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, განხილვებით ან ქმედებებით საგადასახადო ორგანოს მხრიდან, წესების ცვლილებებით რომელიც დადგენილია საგადასახადო ორგანოს მიერ, ან საგადასახადო ორგანოს უფლების ვადის გასვლა, შეამოწმოს ან ხელახლა შეამოწმოს საგადასახადო ურთიერთობა. შეთანხმების არარსებობის ან უთანხმოების შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო ურთიერთობაზე, ცალკე ნაკლებად სავარაუდოა, რომ წარმოდგინდეს ცვლილება ფაქტებში და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციაში, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციის მიერ მოთხოვნილ გადაწყვეტილებებზე და შეფასებებზე. ჯგუფი არ ელის ახალი სტანდარტის რაიმე ზეგავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

წინასწარ გადახდის თავისებურებები უარყოფითი ანაზღაურებით - ცვლილებები ფასს 9–ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ).

ცვლილებები საშუალებას იძლევა მოხდეს იმ გარკვეული სესხებისა და ფასიანი ქაღალდების შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით, რომელთა წინასწარ გადახდა შესაძლებელია ამორტიზებული ღირებულებაზე დაბალ თანხით, მაგალითად, რეალური ღირებულებით ან იმ თანხით, რომელიც მოიცავს მსესხებელსთვის გადასახდელ გონივრულ ანაზღაურებას, რაც უტოლდება საბაზრო სარპცენტო განაკვეთის ზრდის მიმდინარე ღირებულებას, ინსტრუმენტის სარგებლიანობის ვადის პერიოდზე. ეფექტის დღევანდელი ღირებულებით. საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდა ინსტრუმენტის დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში. გარდა ამისა, სტანდარტის საფუძვლის დამატებული ტექსტი ასახავს ფასს 9 – ში არსებულ სახელმძღვანელო მითითებას, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული გარკვეული ფინანსური ვალდებულებების შეცვლა ან გაცვლა, რომლებიც არ იწვევს აღიარების გაუქმებას, უნდა აისახოს მოგებაში ან ზარალში. შესაბამისად, ანგარიშის წარმდგენ პირებს უმეტეს შემთხვევაში არ შეეძლებათ გადააფასონ სესხის დარჩენილი სარგებლიანობის პერიოდისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რათა თავიდან აიცილონ გავლენა მოგებაზე ან ზარალზე სესხის ცვლილებისას. ჯგუფი არ ელის, რომ ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გრძელვადიანი ინტერესები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში - ცვლილებები ბასს 28–ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებებში განმარტებულია, რომ ანგარიშის წარმდგენმა საწარმოებმა უნდა გამოიყენონ ფასს 9, გრძელვადიანი სესხებისთვის, პრეფერენციული აქციების და მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც წარმოადგენს კაპიტალის წმინდა ინვესტიციის ნაწილს მანამ, სანამ მათ შეეძლებათ შეამცირონ ასეთი საბალანსო ღირებულება ინვესტორის ზარალის იმ წილით, რომელიც აღემატება ჩვეულებრივი აქციების მიხედვით განსაზღვრულ ინვესტორის ინტერესს. ჯგუფი არ ელის, რომ ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 ახალი სააღრიცხვო დებულებები (გაგრძელება)

ფასს-ის 2015-2017 წლის ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესებები - ფასს 3-ის შესწორებები, fass 11, ბასს 12 და ბასს 23 (გამოცემული 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაშია წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1-ელ იანვარს, ან 1-ლი იანვრიდან). ვიწრო მასშტაბის შესწორებები გავლენას ახდენენ 4 სტანდარტზე. ფასს 3 ნათლად განსაზღვრავს, რომ შემძენმა, როდესაც იგი იძენს კონტროლს ბიზნესზე,

ნათია ნაცვალი ნ.

უნდა ხელახლა შეაფასოს მის საკუთრებაში მანამდე არსებული წილი საერთო ოპერაციაში. მოცემულის საწინააღმდეგოდ, ფასს 11 ახლა მკაფიოდ განმარტავს, რომ ინვესტორმა საკუთარი წილი არ უნდა შეაფასოს ხელახლა, როდესაც იგი ერთობლივ ოპერაციაზე იძენს ერთობლივ მმართველობას, ისევე როგორც, არსებული მოთხოვნების შესაბამისად, ასოცირებული პარტნიორი კომპანია ხდება ერთობლივი საწარმო ან პირიქით. შესწორებული ბასს 12 განმარტავს, რომ პირი ცნობს დივიდენდების საფუძველზე ყველა საშემოსავლო გადასახადს, თუკი იგი აღიარებს ტრანზაქციებს ან ოპერაციებს, რომელმაც გამოიწვია დაკავშირებული განაწილებადი მოგება, მაგალითად, მოგებაში, ზარალში, ან ერთობლივ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ მოცემული მოთხოვნა ეხება ყველა შემთხვევას მანამ, სანამ ფინანსურ ინსტრუმენტებში გადასახადები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც სუფთა წილი წარმოადგენს მოგების განაწილებას, და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საგადასახადო შედეგები წარმოადგენენ განაწილებული და გაუნაწილებელი მოგებისათვის განსხვავებული საგადასახადო განაკვეთის შედეგს. შესწორებული ბასს 23 ახლა შეიცავს მკაფიო მითითებას, რომ კონკრეტული აქტივის დაფინანსებისათვის მოპოვებული სესხები გამოირიცხება კაპიტალიზაციისთვის დაშვებული ზოგადი სესხების სიიდან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, სანამ კონკრეტული აქტივი არ იქნება ნამდვილად დასრულებული. ჯგუფს არ აქვს მოლოდინი, რომ საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშზე რაიმე სახის გავლენა ექნება ახალ სტანდარტს.

ბასს 19-ის შესწორებები „გეგმის შესწორება, შემცირება ან ხელახალი რეგულირება" (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს და ძალაშია წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1-ელ იანვარს ან 1-ლი იანვრიდან). შესწორებები განსაზღვრავენ თუ როგორ დადგინდეს საპენსიო დანახარჯები, როდესაც განსაზღვრული საპენსიო სარგებლის გეგმა იცვლება. გეგმაში ცვლილების არსებობის შემთხვევაში - შესწორების, შემცირების ან ხელახალი რეგულირების დროს გამოიყენება. ბასს 19 მოითხოვს, რომ ხელახლა იქნას განსაზღვრული სუფთა წმინდა ვალდებულება ან აქტივი. ცვლილებების თანახმად, ხელახალი განსაზღვრის შედეგად მიღებული ვარაუდები უნდა იქნას გამოყენებული მიმდინარე მომსახურების ღირებულებისა და საანგარიშო პერიოდისათვის დარჩენილი პროცენტის განსასაზღვრად გეგმის ცვლილების შემდეგ. შესწორებამდე, ბასს 19 არ განსაზღვრავდა გეგმის ცვლილების შემდეგ მოცემული ხარჯების განსაზღვრის გზას. განახლებული ვარაუდების გამოყენების მოთხოვნით, სავარაუდოა, რომ შესწორება უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგებების გამომყენებელი პირებისათვის სასარგებლო ინფორმაციას. ჯგუფს არ აქვს მოლოდინი, რომ საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშზე რაიმე სახის გავლენა ექნება ახალ სტანდარტს.

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოში შეტანილი შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისათვის რომლებიც იწყება 2020 წლის 1-ელ იანვარს, ან 1-ლი იანვრიდან). შეცვლილი კონცეპტუალური ჩარჩო მოიცავს ახალ თავს შეფასების, ფინანსური შედეგების მაჩვენებელი ანგარიშგების შესახებ მითითებას; გაუმჯობესებულ განსაზღვრებებს და მითითებებს - კერძოდ, პასუხისმგებლობის განსაზღვრებასა; და ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში განმარტებებს, როგორიცაა მმართველობითი თანამდებობის როლები, წინდახედულობა და ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები.

ბიზნესის განსაზღვრება - ფასს 3-ის შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია წლიური საანგარიშო პერიოდიდან, რომელიც იწყება 2020 წლის 1-ელ იანვარს, ან 1-ლი იანვრიდან). შესწორებებით ხდება ბიზნესის განმარტების გადახედვა. ბიზნესს უნდა ქონდეს შენატანები და არსებითი პროცესები, რომლებიც ერთობლივად მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გამომუშავების შესაძლებლობას. ახალი მითითება წარმოადგენს მოქმედების ჩარჩოს, თუ როგორ შეფასდეს სიტუაცია, სადაც არსებობს

შენატანი და არსებითი პროცესები, მათ შორის კომპანიების საწყის ეტაპზე, როდესაც არ არსებობს გამომუშავება, ორგანიზებული სამუშაო ძალის საჭიროებაა სახეზე, რათა მოხდეს ბიზნესად კლასიფიცირება, თუკი გამომუშავება არ არსებობს. ტერმინი „გამომუშავების“ განსაზღვრება შეივიწროებულია, და ფოკუსს ახდენს პროდუქციასა და სერვისზე რომელიც მიეწოდება მომხმარებელს, რითაც ხდება საინვესტიციო და სხვა შემოსავლის მიღება, ეს გამორიცხავს უფრო დაბალი ღირებულებით დაბრუნებას და სხვა ეკონომიკურ სარგებელს. აგრეთვე აღარ არსებობს საჭიროება, შეფასდეს, თუ რამდენად შეუძლიათ ბაზრის მონაწილეებს ელემენტების ჩანაცვლება, რომლებიც არ გააჩნიათ, ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. პირს შეუძლია გამოიყენოს „კონცენტრაციის ტესტი“. შეძენილი აქტივები არ წარმოადგენენ ბიზნესს, თუ პრაქტიკულად შეძენილი გროსი აქტივების ღირებულების უდიდესი ნაწილი კონცენტრირებულია ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების დაჯგუფებაში). შესწორებები პერსპექტიულია და ჯგუფი მიიღებს მათ და შეაფასებს მათ შედეგს 2020 წლის 1 იანვრიდან.

არსებითობის განსაზღვრება - ბასს 1 და ბასს 8-ის შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაში შედის პერიოდული აღრიცხვისათვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1-ელ იანვარს, ან 1-ლი იანვრიდან.) შესწორებები განსაზღვრავს არსებითობას და როგორ უნდა იქნას იგი მითითებაში დამკვიდრებული, რომელიც დღემდე გამოყენებულია ფასს-ში. ამასთან, განსაზღვრებასთან ერთად არსებული განმარტებები გაუმჯობესებულია. საბოლოოდ, შესწორებები უზრუნველყოფენ, რომ არსებითობის განსაზღვრება შესაბამისობაშია ფასს-ის ყველა სტანდარტთან. ინფორმაცია არსებითია, თუკი მან მისი გამორიცხვით, არასწორად გაგებით ან უზუსტობით შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომელსაც იღებენ ზოგადი დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე უშუალოდ მომუშავე პირები ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე, რომლებიც ასახავენ კონკრეტულ საანგარიშო სუბიექტის შესახებ ფინანსურ ინფორმაციას. ამჟამად ჯგუფი აფასებს შესწორებების გავლენას საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არის მოლოდინი, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7 ბალანსები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ზოგადად განიხილება დაკავშირებულად, როდესაც ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ რომელიმე მხარეს აქვს ძალაუფლება მართოს მეორე მხარე ან განახორციელებს მნიშვნელოვან გავლენას ან კონტროლს მეორე მხარეზე, ერთობლივი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეულ, შესაძლო, მხარეთა შორის ურთიერთობების განხილვისას, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

ცალკეული ბალანსები მოკავშირე მხარეებთან იყო შემდეგი:

	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სესხები (შენიშვნა 13)	მშობელი კომპანია	15,597,372	16,251,331
სესხები (შენიშვნა 13)	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	49,551,648	51,075,052
გადასახდელი პროცენტი	მშობელი კომპანია	4,141,986	3,309,297
გადასახდელი პროცენტი	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	68,331,634	57,676,251

ტრანზაქციები, შემოსავლისა და ხარჯის საგნები დაკავშირებულ მხარეებთან, არის შემდეგი:

	ურთიერთობა	2018	2017
საპროცენტო ხარჯი (შენიშვნა 13)	მშობელი კომპანია	714,445	764,807
საპროცენტო ხარჯი (შენიშვნა 13)	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	9,807,308	10,289,114

ტოპ-მენეჯმენტის კომპენსაცია. ტოპ–მენეჯმენტი გულისხმობს გენერალურ დირექტორს, გენერალური დირექტორის მოადგილეს, კომერციულ დირექტორსა და ეკონომიკური უსაფრთხოების დირექტორს. აღმასრულებელ მენეჯმენტში სრულ განაკვეთზე ტოპ მენეჯმენტისთვის გადახდილი კომპენსაცია შედგება საბაზისო ხელფასისგან, ბონუსისა და სხვა შეღავათებისაგან. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში მენეჯმენტის კომპენსაციამ შეადგინა 1,091,491 ლარი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2017: 904,900 ლარი). 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ხელფასისა და სარგებლის გადასახდელი ვალდებულება იყო 250,401 ლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: 260,831 ლარი).

8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების ("PP&E") და არამატერიალური აქტივების საბალანსო თანხის მოძრაობები იყო შემდეგი

	მიწა და შენობები	დანადგარები და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისი და სხვა ხელსაწყოები	დაუმთავრებელი მშენებლობა CIP * და დაუმონტაჟებელი ხელსაწყოები	სხვა	ძირითადი საშუალებების ჯამი	ლიცენზიები	კომპიუტერული პროგრამები	არამატერიალური აქტივების ჯამი
ღირებულება	20,833,687	42,972,377	5,790,134	2,062,405	4,449,333	991,641	77,099,577	2,429,337	283,350	2,712,687
აკუმულირებული ცვეთა / ამორტიზაცია	(6,462,129)	(13,955,223)	(3,937,737)	(1,443,243)	–	(581,621)	(26,379,953)	(757,832)	(80,008)	(837,840)
საბალანსო თანხა 2017 წლის 1 იანვარს	14,371,558	29,017,154	1,852,397	619,162	4,449,333	410,020	50,719,624	1,671,505	203,342	1,874,847
შესყიდვები	213,677	3,040,371	534,978	119,751	590,582	138,291	4,637,650	–	9,750	9,750
ჩამოწერა	(326,985)	(16,244)	(126,519)	–	(3,053,397)	(267)	(3,523,412)	–	–	–
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯები	(1,181,624)	(4,436,583)	(548,540)	(226,153)	–	(149,561)	(6,542,461)	(142,948)	(47,358)	(190,306)
აღმოფხვრილი ჩამოწერისას	6,309	16,848	77,847	–	–	–	101,004	–	–	–
საბალანსო თანხა 2017 წლის 31 დეკემბერს	**13,082,935**	**27,621,546**	**1,790,163**	**512,760**	**1,986,518**	**398,483**	**45,392,405**	**1,528,557**	**165,734**	**1,694,291**
ღირებულება	20,720,379	45,996,504	6,198,593	2,182,156	1,986,518	1,129,665	78,213,815	2,429,337	293,100	2,722,437
აკუმულირებული ცვეთა / ამორტიზაცია	(7,637,444)	(18,374,958)	(4,408,430)	(1,669,396)	–	(731,182)	(32,821,410)	(900,780)	(127,366)	(1,028,146)
საბალანსო თანხა 2017 წლის 31 დეკემბერს	**13,082,935**	**27,621,546**	**1,790,163**	**512,760**	**1,986,518**	**398,483**	**45,392,405**	**1,528,557**	**165,734**	**1,694,291**
შესყიდვები	845,594	5,196,023	1,022,092	45,354	8,847,200	201,229	16,157,492	–	62,594	62,594
ტრანსფერები	106,505	6,077,393	–	19,346	6,203,244	–	–	–	–	–
ჩამოწერა	(1,090,783)	(680,767)	(7,091)	(172,460)	(1,903,753)	(30,303)	(3,824,551)	–	–	–
შვილობილი კომპანიის რეალიზაცია	(398,760)	–	–	–	–	–	398,760	–	–	–
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(1,149,297)	(4,918,490)	(672,507)	(202,694)	–	(181,441)	(7,124,429)	(142,948)	(47,743)	(190,691)
აღმოფხვრილი ჩამოწერისას	356,510	296,120	7,091	165,563	–	3,106	828,390	–	–	–
საბალანსო თანხა 2018 წლის 31 დეკემბერს	**11,752,704**	**33,591,825**	**2,139,748**	**–**	**2,726,721**	**451,680**	**51,030,547**	**1,385,609**	**180,585**	**1,566,194**
ღირებულება	20,182,935	56,589,153	7,213,594	367,869	2,726,721	1,361,197	90,147,996	2,429,337	355,694	2,785,031
აკუმულირებული ცვეთა / ამორტიზაცია	(8,430,231)	(22,997,328)	(5,073,846)	(2,074,396)	–	(909,517)	(39,117,449)	(1,043,728)	(175,109)	(1,218,837)
საბალანსო თანხა 2018 წლის 31 დეკემბერს	**11,752,704**	**33,591,825**	**2,139,748**	**1,706,527**	**2,726,721**	**451,680**	**51,030,547**	**1,385,609**	**180,585**	**1,566,194**

CIP * დაუმთავრებელი მშენებლობა

8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ლიცენზიები მოიცავს საქართველოს ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2011 წლის 29 დეკემბერს გაცემულ კირქვის მოპოვების ლიცენზიას, რომლის სასიცოცხლო ვადა არის 15 წელი.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან მოგება 570,150 ლარი (2017: 954,457 ლარი) არის აღრიცხული „სხვა საოპერაციო შემოსავალში".

დაგირავებული ქონების შესახებ დეტალებზე იხილეთ შენიშვნა 21.

9 სავაჭრო და სხვა დავალიანებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო დავალიანება	14,638,473	13,218,275
მინუს გაუფასურების დანაკარგის რეზერვი	(4,041,850)	(2,601,327)
სავაჭრო დავალიანება ჯამში, ნეტო	**10,596,623**	**10,616,948**
წინასწარი გადახდები	7,279,306	9,132,784
სხვა დავალიანებები	60,850	39,362
სავაჭრო და სხვა დავალიანებების ჯამი	**17,936,779**	**19,789,094**

1,457 ათასი ლარის (2017 წლის 31 დეკემბერი: 894 ათასი) სავაჭრო ვალდებულების გაუფასურების დანაკარგის რეზერვი დენომინირებულია აშშ დოლარში.

ჯგუფი იყენებს IFRS 9 გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებისთვის, რომელიც იყენებს მუდმივ მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგის დაშვებას ყველა სავაჭრო და სხვა ვალდებულებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებისთვის, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დაჯგუფდა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილების დღეების საფუძველზე.

საკრედიტო დანაკარგის დაშვება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისთვის განსაზღვრულია უზრუნველყოფის მატრიცაში, რომელიც წასმოდგენილია ქვემოთ ცხრილში. უზრუნველყოფის მატრიცა ეფუძვნება ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას, რომელიც მორგებულია პერსპექტიული ინფორმაციის აღწერას.

მთლიანი ღირებულების %–ში	დანაკარგის თანაფარდობა	მთლიანი მიმდინარე თანხა	მუდმივი ECL
სავაჭრო ვალდებულებები			
– მიმდინარე	1.4 %	6,920,931	98,155
– 30 დღეზე ნაკლები დაგვიანება	3.8 %	2,275,087	85,770
– 30 დან 90 დღემდე დაგვიანება	10.7 %	1,249,158	133,611
– 91 დან 180 დღემდე დაგვიანება	28.5 %	295,473	84,067
– 181 დან 360 დღემდე დაგვიანება	39.7 %	427,567	169,650
– 360 დღეზე მეტი დაგვიანება	100 %	3,470,257	3,470,597
სავაჭრო ვალდებულებების ჯამი (მთლიანი მიმდინარე თანხა)	–	14,638,473	–
საკრედიტო დანაკარგის კომპენსაცია	–	–	4,041,850
სავაჭრო ვალდებულებების ჯამი კლიენტებთან შეთანხმებებიდან (მიმდინარე რაოდენობა)	–	10,596,623	–

9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

შემდეგი ცხრილი განმარტავს ცვლილებებს საკრედიტო დანაკარგის დაშვებაში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისთვის, გამარტივებული ECL მოდელის თანახმად, წლის დასაწყისსა და დასასრულს შორის:

	ინდივიდუალური პირები	მოვაჭრეები	კომპანია	ჯამი
სავაჭრო ვალდებულებები				
ბალანსი 2018 წლის 1 იანვრისთვის	85,134	367,778	3,072,308	3,525,220
ახლად წარმოშობილი ან შეძენილი	19,219	113,038	384,373	516,630
საკრედიტო დანაკარგის კომპენსაციის ჯამი მოგებასა ან დანაკარგში, პერიოდისთვის	19,219	113,038	384,373	516,630
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერს	104,353	480,816	3,456,681	4,041,850

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისთვის 2017 წლის პერიდოისთვის იყო შემდეგი:

	2017
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრისთვის	**1,918,370**
გაუფასურების რეზერვი წლის განმავლობაში	682,957
თანხები, რომლებიც ჩამოწერილია როგორც უიმედო	–
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრისთვის	**2,601,327**

ანალიზი სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საკრედიტო ხარისხით 2017 წლის 31 დეკემბრისთვის:

	31 დეკემბერი 2017
არც დაგვიანებული, არც გაუფასურებული	
-საქართველო	5,383,516
-დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა	830,928
-ევროკავშირი	–
-სხვა	385,734
არც დაგვიანებული, არც გაუფასურებული,ჯამში	**6,600,178**
დაგვიანებული მაგრამ არა გაუფასურებული	
- 60 დღეზე ნაკლები დაგვიანება	–
– 60 დან 120 დღემდე დაგვიანება	1,855,692
-120 დან 360 დღემდე დაგვიანება	1,535,914
- 360 დღეზე მეტი დაგვიანება	625,164
დაგვიანებული მაგრამ არა გაუფასურებული, ჯამში	**4,016,770**
დაგვიანებული და გაუფასურებული	
- 60 დღეზე ნაკლები დაგვიანება	80,187
– 60 დან 120 დღემდე დაგვიანება	189,817
-120 დან 360 დღემდე დაგვიანება	490,597
- 360 დღეზე მეტი დაგვიანება	1,840,726

დაგვიანებული და გაუფასურებული, ჯამში	2,601,327
მინუს გაუფასურების რეზერვი	(2,601,327)
სავაჭრო და სხვა დავალიანებების ჯამი, ნეტო	10,616,948

10 მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მზა პროდუქცია	27,198,448	22,076,198
ნედლეული და სახარჯი მასალები	25,792,397	13,283,401
სათადარიგო ნაწილები და სხვა მარაგები	18,433,028	14,644,406
დაუსრულებელი წარმოება	5,628,809	2,716,616
სულ მარაგები ჯამში	**77,052,682**	**52,720,621**

ჯგუფი ფლობს ე.წ. წიდასაყარს, რომელიც ათწლეულების განმავლობაში გამოყენებოდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წარმოების ნარჩენების განსათავსებლად. წარმოების ნარჩენები - წიდა შეიცავდა რკინის და შოთისებრი თუჯის მნიშვნელოვან დონეს, რაც წლების განმავლობაში ნარჩენად ითვლებოდა. დღესდღეობით, ტექნოლოგიების გაუმჯობესების შემდეგ, ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა ხელახლა გადაამუშაოს წიდა და მოიპოვოს ფოლადის ჯართი შემდგომი დნობისთვის - რაც ნიშნავს წარმოების დაბალ ფასს. წიდასაყარი მდებარეობს განცალკევებით, საწარმოო ობიექტებიდან 10 კილომეტრის დაშორებით და 110 ჰექტარზეა განთავსებული. ობიექტში დაახლოებით 120 თანამშრომელია დასაქმებული. წიდასაყარი შეიცავს სამი სახეობის წიდას: დაუმუშავებელი მარტენის ღუმელის წიდა, დაუმუშავებელი დომენის ღუმელის წიდა და დამუშავებული წიდა, რომელიც არ შეიცავს რაიმე ფოლადის კონცენტრაციას. ჯგუფის წიდის მოცულობა განისაზღვრება დამოუკიდებელი ექსპერტების ანგარიშების საფუძველზე, რომელთაც გააჩნიათ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია. 2017 წლის ნოემბერში ჩატარებული შეფასების შედეგების მიხედვით, დაუმუშავებელი წიდის მოცულობა 4,623,863 კუბური მეტრია.

ამ ანგარიშის თარიღის მდგომარეობით, მენეჯმენტის შეფასებით, დარჩენილი წიდის რეზერვები საკმარისი იქნება მომდევნო 4-5 წლის განმავლობაში, მიმდინარე საწარმოო სიმძლავრით.

ნედლეულისა და სახარჯო მასალის შემადგენლობაში შედის წიდა–ეზო 1,966,512 ლარის ღირებულებით (2017: 2,382,394 ლარი).

11 ფული და ფულადი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული	42	1,589
მიმდინარე ანგარიშები ბანკში:		
დენომინირებული ლარში Gel	2,612,346	1,153,791
დენომინირებული აშშ დოლარში USD	1,108,264	20,711
დენომინირებული ევროში EUR	14,979	1,409
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ჯამში	**3,735,631**	**1,177,500**

ფულისა და ფულადი ექვივალენტების საკრედიტო ხარისხი. ყველა მიმდინარე ანგარიშები ბანკებში მოთავსებულია BB რეიტინგის ბანკში, FITCH რეიტინგის საფუძველზე.

12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი არ არის განსაზღვრული აქციონერის მიერ, ანუ ნულია.

13 სესხები

ჯგუფის სესხები დაჯამებულია ქვემოთ ცხრილში:

აღწერა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
უზრუნველყოფილი სესხები და საკრედიტო ხაზები საქართველოს ბანკთან		
2014 წლის 25 დეკემბერს გაცემული სესხი 15,000,000 აშშ დოლარი, წლიური საპროცენტო 6.657% + 6 M ლიბორ (მაგრამ არანაკლებ 8.25%) და დაფარვის ვადა 2022 წლის 20 მაისი.	18,771,810	22,978,125
3,000,000 აშშ დოლარი გაცემული საქართველოს ბანკის მიერ – 2018 წლის 6 დეკემბერს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 8.66% + საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების კურსი (მაგრამ არანაკლებ 8.25%) იფარება ყოველთვიურად, დაფარვის ვადა 2019 წლის 15 მაისი	8,069,873	–
4,500,000 აშშ დოლარის საკრედიტო ხაზი, გაცემული 2014 წლის 25 დეკემბერს, წლიური საპროცენტო 8.157% + 6M ლიბორ (მაგრამ არანაკლებ 8,25 %) და დაფარვის ვადა 20 ივლისი 2019 წელი	6,696,937	2,852,991
3,000,000 აშშ დოლარი საკრედიტო ხაზი გაცემული 2015 წლის 12 ოქტომბერს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 6.657% + 6M ლიბორ (მაგრამ არანაკლებ 8.25%), გადასახდელი ყოველთვიურად. 2017 წლის 19 სექტემბერს საკრედიტო ხაზი გადაკეთდა განსაზღვრული ვადების სესხად, 3,470,000 აშშ დოლარი, დაფარვის თარიღი 2022 წლის 20 მაისი.	6,190,704	8,303,941
1,500,000 აშშ დოლარი გაცემული საქართველოს ბანკის მიერ – 2018 წლის 16 იანვარს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 6.657 % + 6M ლიბორ (მაგრამ არანაკლებ 8.25%) იფარება ყოველთვიურად, დაფარვის ვადა 2020 წლის 29 დეკემბერი	5,766,324	–
2,000,000 აშშ დოლარი და 500,000 აშშ დოლარი გაცემული სესხი 2015 წლის 12 ოქტომბერს წლიური საპროცენტო განაკვეთით 6.657 % + 6M ლიბორ (მაგრამ არანაკლებ 8.25%) და დაფარვის ვადა 2022 წლის 20 მაისი	2,699,344	3,399,957
1,000,000 აშშ დოლარი გაცემული საქართველოს ბანკის მიერ – 2018 წლის 28 სექტემბერს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 6.06 % + საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების კურსი (მაგრამ არანაკლებ 8.25%) იფარება ყოველთვიურად, დაფარვის ვადა 2020 წლის 25 სექტემბერი	2,368,214	–
70,000 ლარის საკრედიტო ხაზის გაცემული 2016 წლის 16 მარტს, გაიზარდა 140,000 ლარამდე 2016 წლის 15 დეკემბერს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 9% + ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს (მაგრამ არანაკლებ 12%) და დაფარვის ვადა 2018 წლის 24 მაისი.	–	140,000
ბანკის სესხები ჯამში	50,563,206	37,675,014

ნათია ნაცვლიშვილი ნ.

არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან		
58,718,082 ლარის სესხი, გაცემული Far View BV-ს მიერ 2012 წლის 1 ოქტომბერს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 20.0% და დასრულების ვადა 2027 წლის 1 ოქტომბერი. ძირითადი თანხა და საპროცენტო სარგებელი გადაიხდება მოთხოვნის საფუძველზე.	75,716,318	69,296,706
8,699,988 აშშ დოლარის სესხი, გაცემული Far View BV-ის მიერ 2013 წლის 31 იანვარს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 20.0%. ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტები გადაიხდება მოთხოვნის საფუძველზე.	42,166,964	39,456,018
6,713,320 აშშ დოლარის სესხი, გაცემული Tolanius Beheer BV-ის მიერ 2013 წლის 27 დეკემბერს წლიური საპროცენტო განაკვეთი 4.75%. ძირითადი თანხა და საპროცენტო სარგებელი გადაიხდება მოთხოვნის საფუძველზე.	19,739,358	19,531,482
დაკავშირებული მხარეების სესხი ჯამში	**137,622,640**	**128,284,206**
სესხები ჯამში	**188,185,846**	**165,959,220**

13 სესხები (გაგრძელება)

სესხების მოძრაობები შემდეგია:

	2018	2017
1 იანვარს	165,959,220	168,102,410
სესხის აღება წლის განმავლობაში	86,776,348	40,976,620
IRFS 9-ზე გადასვლის ეფექტი	(1,537,107)	–
პროცენტის ხარჯი წლის განმავლობაში	14,527,693	14,709,275
პროცენტის გადახდები	(3,720,529)	(3,881,517)
ძირის გადახდები	(77,831,775)	(51,477,751)
შვილობილი კომპანიის რეალიზაცია	(140,000)	–
უცხოური ვალუტის გადაფასება (მოგება / დანაკარგი) ნეტო	3,764,319	(2,469,817)
სხვა	357,677	–
31 დეკემბერს	188,185,846	165,959,220

ფინანსური იჯარის ვალდებულებები: 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა 724,265 ლარის ფინანსური ვალდებულება (2017 წლის 31 დეკემბერი: 887,297 ლარი) წიდის გადამამუშავებელი ხელსაწყოებისა და სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვიდან წარმოქმნილი.
დაგირავებული ქონების შესახებ დეტალებზე იხილეთ შენიშვნა 21–ში.

სულ სესხები და ფინანსური იჯარის ვალდებულებები დენომინირებულია შემდეგ ვალუტაში:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ქართული ლარი	78,007,869	69,436,706
აშშ დოლარი	110,806,823	97,185,171
ევრო	95,419	224,640
სესხებისა და ფინანსური იჯარის ვალდებულებები ჯამში	188,910,111	166,846,517

14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	8,808,213	12,209,747
შპს ქართული ფოლადის მიმართ (შენიშვნა 1)	867,123	4,384,489
ფინანსური გადასახდელები სავაჭრო და სხვა გადასახდელებში, ჯამში	**9,675,336**	**16,594,236**
გადასახდელი ხელფასები	1,439,771	1,796,392
სახელშეკრულებო ვალდებულებები – მომხმარებლების ავანსები	11,855,070	–
მიღებული ავანსები	798,549	8,674,982
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ჯამში	**23,768,726**	**27,065,610**

მიღებული ავანსები ჩვეულებრივ წარმოადგენს ფოლადის პროდუქციის გაყიდვებს: არმატურა, კვადრატული ნამზადი, და უნაკერო მილები, რამდენიმე დამკვეთისაგან, ვინც რეგულარულ გადახდებს ახორციელებს ავანსების საშუალებით.

2017 წლის 15 ნოემბერს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულებები რამდენიმე კონტრაქტორთან, რის საფუძველზეც 1,751,875 ლარის ოდენობის სავაჭრო ვალდებულებები ნაპატიები იქნა და აღიარდა როგორც სხვა საოპერაციო შემოსავალი. მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, და სხვა მოგებაში.

სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებული აღიარებული შემოსავალი. შემოსავალი, რომელიც უკავშირდებოდა „სახელშეკრულებო ვალდებულებების – მომხმარებელთა ავანსების“ მთლიან თანხას 2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით, მოპოვებული და აღიარებულია როგორც შემოსავალი – წინამდებარე საანგარიშო პერიოდში.

ჯგუფის სახელშეკრულებო ვალდებულებების ზრდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უკავშირდება ჯგუფის სამი არსებული მნიშვნელოვანი კლიენტებისგან მიღებულ ავანსებს, საერთო რაოდენობით 8,571,636 ლარი.

მენეჯმენტი ელის სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი თანხის შემოსავლად აღიარებას, მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში.

15 შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით

შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით შემოსავლების აღიარების სახელმძღვანელოს თანახმად, რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან:

	2018
შემოსავლები მომხმარებელთა ხელშეკრულებებიდან	205,700,486
ქირის შემოსავალი	1,390,635
შემოსავალი ჯამში	207,091,121

მომხმარებლებთან ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების დიზაგრეგაცია:

ჯგუფი იღებს შემოსავალს საქონლისა და მომსახურების მიწოდებით, გარკვეულ დროს, შემდეგ მთავარ სასაქონლო არხებსა და გეოგრაფიულ რეგიონებში:

შემოსავლები გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, შემდეგნაირად:

	2018	2017
საქართველო	156,238,660	134,127,507
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა	17,933,730	15,287,173
ევროკავშირი	17,176,107	6,928,184
აზია	14,351,989	5,938,362
აშშ	–	618,922
შემოსავალი ჯამში	205,700,486	162,900,148

შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით შემოსავლების აღიარების სახელმძღვანელოს თანახმად, რომელიც ძალაში იყო 2018 წლის 1 იანვრამდე:

	2018	2017
არმატურის გაყიდვები	160,612,515	129,002,770
უნაკერო მილების გაყიდვები	30,876,110	18,286,713
კვადრატული ნამზადის გაყიდვები	9,761,944	4,841,933
წიდის გაყიდვები	1,390,635	1,550,127
სამედიცინო მომსახურების შემოსავლები	868,955	1,621,187
შემოსავალი იჯარიდან	–	1,250,554
წიდის რეალიზაცია	3,580,962	7,896,991
შემოსავალი ჯამში	207,091,121	164,450,275

16 გაყიდვების თვითღირებულება

	2018	2017
გამოყენებული ნედლეული და სახარჯი მასალები	132,977,921	85,641,904
ენერგიისა და სხვა ხარჯი	25,022,056	21,364,678
თანამშრომელთა ხელფასებისა და ბენეფიტების ხარჯი	8,508,903	7,764,955
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	5,573,682	5,939,609
სხვა წარმოების ზედნადები ხარჯები	2,964,007	1,806,734
ცვლილებები მზა პროდუქციის და დაუსრულებელ წარმოების ნაშთებში	(15,466,236)	(6,331,451)
სხვა მომსახურების ღირებულებები	–	1,513,349
გაყიდვების თვითღირებულება ჯამში	159,580,333	117,699,778

17 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
თანამშრომელთა ხელფასები და ბენეფიტები	7,452,267	8,277,035
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	1,741,438	793,158
კომუნალური ხარჯები	735,568	773,367

პროფესიული და საკონსულტაციო ხარჯები*	965,410	534,110
საწვავისა და საპოხი მასალების ხარჯები	367,879	320,502
მივლინებების ხარჯები	289,497	225,981
დაზღვევის ხარჯები	217,118	236,347
კომუნიკაციის ხარჯები	63,611	74,449
ქირის ხარჯები	44,571	41,500
ოფისის ხარჯები	22,610	21,992
სხვა	151,462	361,464
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები ჯამში	**12,051,431**	**11,659,905**

(*) პროფესიული მომსახურების ხარჯი მოიცავს 498,111 ლარს (2017: 318,322 ლარს) – გადასახადი აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის, რომელსაც გასწევს აუდიტორი / აუდიტორული ფირმა, როგორც განსაზღვრულია საქართველოს კანონით, საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

18 გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2018	2017
ტრანსპორტირების ხარჯები	3,731,462	2,940,655
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები	564,768	701,949
საბაჟო და საბროკერო ხარჯები	167,468	242,526
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები ჯამში	**4,463,698**	**3,885,130**

19 სხვა ოპერაციული ხარჯები

	2018	2017
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	2,090,856	2,154,991
რემონტი და მოვლა	855,909	261,084
დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	516,630	682,957
ქველმოქმედება	31,874	29,737
სხვა	280,977	352,465
სხვა ოპერაციული ხარჯები ჯამში	**3,776,246**	**3,481,34**

20 ფინანსური ხარჯები, ნეტო

	2018	2017
საპროცენტო ხარჯები დაკავშირებულ მხარეთა სესხებიდან	10,521,120	11,053,922
საპროცენტო ხარჯები ბანკის სესხებზე	4,471,107	3,834,723
ბანკის მომსახურების გადასახადები	768,765	352,910
ფინანსური ხარჯები ნეტო	**15,760,992**	**15,241,555**

21 გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები, ოფიციალური აქტები და სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია და სხვადასხვაგვარად აღიქმება საგადასახადო ორგანოების მიერ. გარკვეული გადასახადები ექვემდებარება განხილვასა და გამოძიებას რიგი სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება დააწესონ ჯარიმები.

21 გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები (გაგრძელება)

2017 წლის 6 იანვარს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა გამოსცა ბრძანება N 80 და შპს „რუსთავის ფოლადში" ჩაატარა სრული გასადასახადო ინსპექცია 2011 წლის 29 ნოემბრიდან 2014 წლის 1 ნოემბრამდე. 2016 წლის 11 მარტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა გამოსცა ბრძანება # 6181 რომლის თანახმადაც ჩატარდა შპს „რუსთავ ფოლადის" ფასთა შესაბამისობის შემოწმება 2012 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 ნოემბრის საგადასახადო პერიოდისთვის. 2017 წელს, აუდიტის დეპარტამენტმა საბოლოო საშემოსავლო მოთხოვნები გადასცა შპს რუსთავის ფოლადს, ჯამური საკომისიო 1,244,862 ლარის ოდენობით.

საგადასახადო წელი ღია რჩება შესამოწმებლად საგადასახადო ორგანოებისათვის მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საგადასახადო წელი ღია დარჩეს გარკვეული პერიოდით. ამ გარემოებამ შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც არსებითად მნიშვნელოვანია ბევრ სხვა ქვეყანაში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ იგი საგადასახადო ვალდებულებებთან ადეკვატურია, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებით. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენას ახდენდეს ეფექტურობაზე და ფინანსურ ანგარიშგებებზე, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება წარმატებით აღასრულებს საკუთარ ინტერპრეტაციებს, მაშინ შეიძლება ის ჩაითვალოს მნიშვნელოვნად.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ყველა არსებული და მომავალი არამატერიალური აქტივი უძრავი და მოძრავი ქონებით PP & E თვითღირებულებით შეადგენს 48,849,844 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: 44,818,703 ლარი) და Tolanius Beheer BV-ის 100% -იანი წილი შპს „რუსთავის ფოლადში" დაგირავებულია საქართველოს ბანკში, სესხის უზრუნველყოფისთვის. (პუნქტი N13)

22 ფინანსური რისკების მართვა

რისკის მართვის ფუნქცია ჯგუფის ფარგლებში ხორციელდება ფინანსური რისკების, საოპერაციო რისკების და სამართლებრივი რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკი, საპროცენტო რისკის რისკი და სხვა რისკი) საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ფინანსური რისკების მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ლიმიტების დადგენა, რის შედეგადაც უზრუნველყონ რისკების ზემოქმედება ამ ლიმიტების ფარგლებში. ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებას, რათა მოხდეს ოპერატიული და სამართლებრივი რისკების შემცირება.

საკრედიტო რისკი. ჯგუფი იღებს საკრედიტო რისკს, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს მეორე მხარისთვის ფინანსური დანაკარგს, რომელიც ვერ შეასრულებს ვალდებულებას. საკრედიტო რისკის წარმოქმნის შედეგად წარმოიქმნება ჯგუფის მიერ საქონლის საკრედიტო პირობების გაყიდვები და სხვა ოპერაციები, რომლებიც უკავშირდება ფინანსური აქტივების მონაწილეებს.

აქტივების კლასით ჯგუფის მაქსიმალური ზემოქმედება აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	10,657,473	10,616,948
ფული და ფულადი ექვივალენტები		
ბანკის ნაშთის გადახდა მოთხოვნაზე	3,735,631	1,175,911
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი	**14,393,104**	**11,792,859**

ჯგუფის მენეჯმენტი განიხილავს სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანალიზს და ადგენს წარსულში არსებულ ნაშთებს. ამიტომ მენეჯმენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს ვადებსა და სხვა ინფორმაციას საკრედიტო რისკებზე, როგორც ეს N 9 პუნქტშია მოცემული.

22 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მენეჯმენტი. საკრედიტო რისკი არის ერთერთი ყველაზე დიდი რისკი ჯგუფის საქმიანობისთვის; აქედან გამომდინარე, ჯგუფი ფრთხილად ეკიდება საკრედიტო რისკებს.

საკრედიტო რისკის შეფასება რისკის მენეჯმენტის მიზნებისთვის რთულია და მოიცავს მოდელების გამოყენებას, რადგანაც რისკები განსხვავდება საბაზრო პირობების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების და გასული დროის მიხედვით. საკრედიტო რისკის შეფასება აქტივების პორტფოლიოსთვის გულისხმობს დამატებით შეფასებებს დეფოლტების დადგომის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ასოცირებული დანაკარგის კოეფიციენტებს და დეფოლტის კორელაციებს შემხვედრ მხარეებს შორის.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის (ECL) შეფასება. ჯგუფი იყენებს ერთ მიდგომას ECL შეფასებისთვის – კოლექტიურ შეფასებას.

მოსალოდნელი დანაკარგების თანაფარდობა ეფუძნება გაყიდვების გადახდის პროფილებს 24 თვის პერიოდის განმავლობაში, 2018 წლის 31 დეკემბრამდე ან 2018 წლის 1 იანვრამდე, და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგებს ამ პერიოდში. ისტორიული დანაკარგების თანაფარდობა იცვლება ისე რომ ასახოს მიმდინარე და პერსპექტიული ინფორმაცია, რომელიც მოქმედებს მომხმარებლების უნარზე, გადაიხადონ ვალდებულებები.

ECL მოდელებში ინკორპორირებული პერსპექტიული ინფორმაცია. SICR შეფასება და ECL კალკულაციები, ორივე მოიცავს ხელშემწყობ პერსპექტიულ ინფორმაციას. ჯგუფმა გამოავლინა გარკვეული ძირითადი ეკონომიკური ცვლადები, რომელიც კორელაციაშია საკრედიტო რისკების და ECL–ების განვითარებასთან. ეკონომიკური ცვლადების ფორკასტი („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მოწოდებულია ჯგუფის ფინანსური გუნდის მიერ და წარმოადგენს საუკეთესო ვარაუდებს მოსალოდნელი მაკრო ეკონომიკური განვითარებისთვის, მომდევნო სამი წლის მანძილზე. სამი წლის შემდეგ გამოიყენება საშუალო რევერსიის

მიდგომა, რაც ნიშნავს რომ ეკონომიკური ცვლადები მიდრეკილნი არიან დაუბრუნდნენ ან ხანგრძლივი მოქმედების საშუალო კურსს (მაგ. უცხოური ვალუტის კურსი) ან ხანგრძლივ საშუალო ზრდის კურსს (მაგალითად GDP).

საბაზრო რისკი. ჯგუფი იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციებზე (a) უცხოური ვალუტა (b) საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების (c) სააქციო კაპიტალი, რაც შეეხება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. მენეჯმენტი ადგენს ლიმიტებს რისკის ღირებულებასთან დაკავშირებით, რომელის მონიტორინგიც ყოველდღიურად ხდება. თუმცა, ასეთი მიდგომა ხელს არ უშლის დანაკარგებს ამ შეზღუდვებს მიღმა მეტად მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების პირობებში.

ქვემოთ მოყვანილი ბაზრის რისკებზე მგრძნობელობა ეფუძნება ფაქტორში ცვლილებების არსებობას, ხოლო ყველა სხვა ფაქტორის მუდმივი შენარჩუნება, პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შეიძლება იყოს კორელაცია - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ვალდებულებას უცხოური ვალუტის კურსის რისკის მიმართ:

	31დეკემბერი 2018 წელი		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	სუფთა ბალანსი
ლარი	11,488,045	83,389,213	(71,901,168)
დოლარი	2,358,788	114,746,175	(112,387,387)
ევრო	485,421	449,672	35,749
რუბლი	–	387	(387)
სულ:	14,332,254	198,585,447	184,253,193

	31დეკემბერი 2017 წელი		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	სუფთა ბალანსი
ლარი	9,025,129	80,463,457	(71,438,328)
დოლარი	2,487,928	102,426,482	(99,938,554)
ევრო	281,391	550,363	(268,972)
რუბლი	–	451	(451)
სულ:	11,794,448	183,440,753	171,646,305

ზემოაღნიშნული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად სახსრებსა და ვალდებულებებს. აქციები და არაფულადი აქტივების ინვესტიციები არ განიხილება როგორც რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკის გამომწვევი.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობაზე საანგარიშო პერიოდის ბოლოს, რომელიც გამოიყენება ჯგუფის სხვა ფუნქციურ ვალუტასთან შედარებით.

ათას ქართულ ლართან მიმართებაში	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
დოლარის 10 %-ით გამყარება	(7,190,117)	(9,993,855)
დოლარის 10%-ით ვარდნა	7,190,117	9,993,855
ევროს 10 %-ით გამყარება	(11,238,739)	(26,897)
ევრო 10 %-ით ვარდნა	11,238,739	26,897

რისკები გათვლილია მხოლოდ ფულადი ბალანსისთვის, ბანკის მიერ დომინირებული ვალუტის გარდა.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფი განიცდის საბაზრო საპორცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი დონეების ცვლილებების შედეგებს თავის ფინანსურ პოზიციაზე და ფულად ნაკადებზე. წინამდებარე ცხრილი წარმოგვიდგენს ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებების ერთიან რაოდენობას, რომელიც კატეგორიებად არის დაყოფილი სახელშეკრულებო საპროცენტო ხელახალი შეფასების ან ადრეული ვადების მიხედვით.

	მოთხოვნა და 3 თვეზე ნაკლები	3დან 12 თვემდე	1დან 5 წლამდე	უპროცენტო	სულ
31 დეკემბერი 2018					
სულ ფინანსური აქტივები	–	–	–	14,393,104	14,393,104
სულ ფინანსური ვალდებულებები	140,309,843	19,832,583	(28,767,685)	9,675,336	198,585,447
2018 წლის 31 დეკემბრის რეაგირება პროცენტებთან მიმართებაში	**(140,309,843)**	**(19,832,583)**	**(28,767,685)**	**4,717,768**	**(184,192,343)**
31 დეკემბერი 2017					
სულ ფინანსური აქტივები	–	–	–	11,794,448	11,794,448
სულ ფინანსური ვალდებულებები	(130,474,278)	(8,829,928)	(27,542,311)	(16,594,236)	(183,440,753)
2017 წლის 31 დეკემბრის რეაგირება პროცენტებთან მიმართებაში	**(130,474,278)**	**(8,829,928)**	**(27,542,311)**	**(4,799,788)**	**(171,646,305)**

ჯგუფს არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვის ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები, რადგან მენეჯმენტი ამ საფრთხეს ჯგუფის საქმიანობაში უმნიშვნელოდ მიიჩნევს.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომელიც ერთეულს ექმნება ფინანსური ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისას. რისკ ჯგუფი ყოველდღიურად ამოწმებს მისთვის ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ოდენობას. მენეჯმენტი აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზებს

ჯგუფი ცდილობს, შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად სესხებისგან შედგება. ჯგუფი ინვესტირებას ახდენს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს რეაგირება მოულოდნელი ლიკვიდურობის მოთხოვნებზე. ჯგუფის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და ექვივალენტებს (შენიშვნა 11). მენეჯმენტის შეფასებით, ლიკვიდურობის ნაღდი ფულადი პორტფოლიო შეიძლება განხორციელდეს დღის განმავლობაში, რათა დააკმაყოფილოს ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ლიკვიდურობის მოთხოვნები.

წინამდებარე ცხრილი წარმოგვიდგენს ვალდებულებებს 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. ვადების ცხრილში წარმოდგენილი როადენობები არის სახელშეკრულებო აადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები გასხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებული თანხებისაგან, რადგანაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება დაფუძნებულია დისკონტირებულ ფულად ნაკადებზე. უცხოური ვალუტის გადახდები გადაყვანილია სპოტ კურსის გამოყენებით, საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

22 ფინანსური რისკის მენეჯმენტი (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით:

	მოთხოვნა და 3 თვეზე ნაკლები	3დან 12 თვემდე	1დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სესხები (შენიშვნა 13)	130,544,228	10,305,887	35,156,011	–	176,006,126
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 14)	–	–	–	9,675,336	9,675,336
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირი თანხა და პროცენტები	130,544,228	10,305,887	35,156,011	9,675,336	185,681,462

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით:

	მოთხოვნა და 3 თვეზე ნაკლები	3დან 12 თვემდე	1დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სესხები (შენიშვნა 13)	130,544,228	10,305,887	35,156,011	–	176,006,126
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 14)	16,594,236	–	–	–	16,594,236
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირი თანხა და პროცენტები	147,138,464	10,305,887	35,156,011	–	192,600,362

23 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასებები გაანალიზებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით, შემდეგნაირად:

(i) პირველი დონე არის შეფასებები კოტირებული ფასებით (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის.

(ii) (მეორე დონის შეფასებები არის შეფასების მეთოდი ყველა მატერიალური შენატანით, რომელიც დაკვირვებადია აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, ან პირდაპირ (ანუ, როგორც ფასები) ან ირიბად (ანუ ფასიდან გამომდინარე) და

(iii) მესამე დონის შეფასება არის შეფასება, რომლებიც არ არის ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ, არადაკვირვებადი შენატანები).

მენეჯმენტი იყენებს გადაწყვეტილებას ფინანსური ინსტრუმენტებისთვის სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით კატეგორიების მინიჭებაში. იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანი ღირებულების შეფასება გამოიყენებს დაკვირვებად შენატანებს, რომლებსაც ესაჭიროებათ მნიშვნელოვანი ცვლილება, ეს შეფასება წარმოადგენს მესამე დონის შეფასებას. შეფასების შენატანის მნიშვნელობა შეფასებულია სამართლიანი ღირებულების შეფასების წინააღმდეგ, მის მთლიანობაში.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ რისთვისაც გამჟღავნებულია სამართლიანი ღირებულება. სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონის მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულებები და აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება, რომელიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებიტ, არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	მიმდინარე ღირებულება

აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	42	3,735,589	–	3,735,631
სავაჭრო ვალდებულებები	–	–	10,596,623	10,596,623
სულ აქტივები	**42**	**3,735,589**	**10,596,623**	**14,332,254**
ვალდებულებები				
სავაჭრო გადასახადები	–	–	9,675,336	9,675,336
სესხები	–	–	188,910,111	188,910,111
სულ ვალდებულებები			**198,585,447**	**198,585,447**

23 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2017			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	მიმდინარე ღირებულება
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,589	1,175,911	–	1,177,500
სავაჭრო ვალდებულებები	–	–	10,616,948	10,616,948
სულ აქტივები	**1,589**	**1,175,911**	**10,616,948**	**11,794,448**
ვალდებულებები				
სავაჭრო გადასახადები	–	–	16,594,236	16,594,236
სესხები	–	–	166,846,517	166,846,517
სულ ვალდებულებები	–	–	**183,440,753**	**183,440,753**

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე- 2 და მე -3 დონის სამართლიანი ღირებულები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. მერყევი განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა როგორც ტოლი მათი მიმდინარე რაოდენობისა. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების სამართლიანი ღირებულება შეფასდა სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე დაყრდნობით, რომელთა მიღება მოსალოდნელია დისკონტით, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც აქვთ მსგავსი საკრედიტო რისკები და ვადები.

24. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით. ცვალებადი განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება ჩვეულებრივ მათი საბალანსო ღირებულებაა. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება ეფუძნება სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიიღებას დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც აქვთ მსგავსი საკრედიტო რისკები და ვადები. ფასდაკლების განაკვეთები დამოკიდებული იყო მოპასუხე მხარის საკრედიტო რისკზე. ვადამდე მფლობელობაში არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა კოტირებული შემოთავაზებული ფასებით.

ამორტიზებული ღირებულებით გატარებული ვალდებულებები. დადგენილი ვადის მქონე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება, რისთვისაც ფიქსირებული საბაზრო ფასი არ არის ხელმისაწვდომი, შეფასდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების

საფუძველზე, არსებული საპროცენტო განაკვეთების დისკონტირებით მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადის მქონე ახალ ინსტრუმენტებზე. სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე რაოდენობები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს მათი მოკლევადიანობის გამო.

24 ფინანსური ინსტრუმენტების პრეზენტაცია საზომი კატეგორიის მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის IFRS 9 „ფინანსური ინსტრუმენტები" ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს შემდეგნაირად:

ა) ფინანსური აქტივები FVTPL-ში;

ბ) სავალო ინსტრუმენტები FVOCI-ში;

გ) სააქციო ინსტრუმენტები FVOCI-ში;

დ) ფინანსური აქტივები AC-ში.

ფინანსურ აქტივებს FVTPL-ში აქვს ორი ქვეკატეგორია:

(i) სავალდებულოდ შეფასებული აქტივები FVTPL-ში;

(ii) აქტივები, ამგვარად დეზიგნირებული თავიდანვე ან შემდგომში. ამას გარდა, ფინანსური იჯარის ვალდებულებები აყალიბებს ცალკე კატეგორიას.

შეფასების მიზნებისთვის 2017 წლის 31 დეკემბერს IAS 39–მა, „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება" ფინანსურ აქტივებს დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად:

ა) L & R;

ბ) AFS ფინანსური აქტივები;

გ) HTM ფინანსური აქტივები, და

დ) ფინანსური აქტივები FVTPL-ში;

დ) ფინანსურ აქტივებს FVTPL-ში ჰქონდა ორი ქვეკატეგორია:

(i) აქტივები, ამგვარად დეზიგნირებული თავიდანვე, და

(ii) დაკლასიფიცირებულნი, როგორც ვაჭრობისთვის განკუთვნილი.

ამას გარდა, ფინანსური იჯარის ვალდებულებები ქმნიდა ცალკე კატეგორიას. ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივები შედის ვალდებულებების კატეგორიაში. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულებები გატარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

25 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

2019 წლის 29 ივლისს კომპანიამ საქართველოს ბანკისგან მიიღო დროებითი ბრიჯ–კრედიტი, 35 ტონა მოცულობის რკალური ღუმელის მშენებლობის დასაფინანსებლად, 5.5 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით.

26 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე

სააღრიცხვო პოლიტიკა რომელიც გამოიყენებოდა 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ შესაბამის პერიოდში, შეიცვალა IFRS 9 და IFRS 15–ის მიერ.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც აღწერილია ქვემოთ.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისთვის ან მიიღება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის ტრანზაქციის საფუძველზე, შეფასების თარიღისათვის. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი არის ერთი, რომელშიც ოპერაციები აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ხდება საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ფასების შესახებ ინფორმაცია უწყვეტ საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლითაც ვაჭრობა ხდება აქტიურ ბაზარზე, ფასდება როგორც კოტირებული ფასის პროდუქტი ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულებისთვის და პირის მიერ ფლობილი ინსტრუმენტების რაოდენობით. ეს არის შემთხვევა, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური სავაჭრო მოცულობა არ არის საკმარისი აითვისოს არსებული რაოდენობა და პოზიციის ერთი ტრანზაქციით გაყიდვის შეკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები ან ისეთი მოდელები, რომლებიც დაფუძნებულია ბოლო დროის თავისუფალი ნების ტრანზაქციებზე ან ინვესტიციის მიმღებების ფინანსური მონაცემების გაანალიზებაზე, გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომელთათვის გარე საბაზრო ფასების ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. სამართლიანი ღირებულების საზომი გაანალიზებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით, შემდეგნაირად: (i) პირველ დონეზე არის საზომები კოტირებული ფასებით (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისთვის ან ვალდებულებისთვის, (ii) მეორე დონის საზომები არის შეფასების ტექნიკები ყველა დაკვირვებადი მატერიალური რესურსებით აქტივის ან ვალდებულებისთვის, ან უშუალოდ (როგორიც არის ფასები) ან არაპირდაპირ (როგორიცაა ფასებიდან მიღებული), და (iii) მესამე დონის საზომები არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (რომ, გაზომვა მოითხოვს მნიშვნელოვან არაშესამჩნევ რესურსებს). ტრანსფერები სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის ითვლება განხორციელებულად წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

განმარტებები კეთდება ამ ფინანსურ ანგარიშგებაში თუ ნებისმიერი ასეთი ვარაუდის შეცვლა ნებისმიერი გონივრულად შესაძლებელი ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებს ან მთლიან ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ ახლავს ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდვას, გაცემას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ის, რომელიც არ იქნებოდა დარიცხული, რომ არ მომხდარიყო ტრანზაქცია. ტრანზაქციის ხარჯები მოიცავს აგენტისთვის გადახდილ გასამრჯელოებსა და საკომისიოებს (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩევლები, ბროკერები და დილერები, შეიცავს მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების გეგარებს, და ტრანსფერის გეგარებსა და გადასახადებს. ტრანზაქციის ხარჯები არ

ნათია ნაცვლიშვილი ნ.

მოიცავს მომგებიან სესხს ან ფასდათმობას, დაფინანსების ხარჯებს, ან შიდა ადმინისტრაციულ ან სხვა ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის –ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (მათ შორის მოსაკრებლების წარმოშობისას გადავადებული, ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის განაწილება შესაბამისი პერიოდზე, რათა მივაღწიოთ მუდმივ პერიოდულ საპროცენტო განაკვეთს (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ნაღდი გადახდების ან ფულადი შემოსავლების (გარდა სამომავლო საკრედიტო დანაკარგებისა) დისკონტს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოქმედების განმავლობაში ან მოკლე პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო თანხამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს ფასდაკლებას სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების ფულად ნაკადებზე მომდევნო პროცენტის ხელახალი შეფასების თარიღამდე, გარდა პრემიისა ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში მითითებულ ცვლად განაკვეთზე გავრცელებულ კრედიტს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის შეწყობილი საბაზრო განაკვეთებთან. ამგვარი პრემიები და ფასდაკლებები ამორტიზირებულია ინსტრუმენტის აქტივობის მთლიან ვადაში. წინამდებარე ღირებულების გამოთვლა მოიცავს ყველა გადახდილ ან მიღებულ გადასახადს ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი იყოფა სესხებისა და დებიტორული მოვალეობის საზომ კატეგორიებად. სესხები და დებიტორული დავალიანებები არის არა–კვოტირებული არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, გარდა იმ აქტივებისა, რომელთა გაყიდვასაც ჯგუფი აპირებს უახლოეს მომავალში.

26 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს აქვთ შემდეგი კატეგორიები: (ა) გამიზნულია ვაჭრობისთვის, რომელიც ასევე მოიცავს ფინანსური დერივატებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. ვალდებულებები, რომლებიც გამიზნულია ვაჭრობისთვის, ატარებს სამართლიან ღირებულებას, ღირებულების ცვლილებით, რაც აღიარებულია როგორც წლის მოგება ან ზარალი (როგორც ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები) იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიქმნება. სხვა ფინანსური ვალდებულებები ატარებს ამორტიზებულ ღირებულებას.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად მიღებულია სამართლიანი ღირებულებით, პლუს საოპერაციო ხარჯები. სამართლიანი ღირებულება

თავდაპირველი აღიარებისას საუკეთესოდ დასტურდება ტრანზაქციის ფასით. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას ჩაწერილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არის განსხვავება სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება დადასტურდეს სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებით ერთსა და იმავე ინსტრუმენტში ან შეფასების მეთოდით, რომლის მნიშვნელობები მოიცავს მხოლოდ არსებულ საბაზრო მონაცემებს. ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვები და გაყიდვები, რომელიც მოითხოვს მიწოდებას რეგულაციით ან საბაზრო კონვენციით (შესყიდვებისა და გაყიდვების რეგულარული გზა) დადგენილ ვადაში, აღირიცხება ვაჭრობის დღეს, რომელიც არის დღე, როდესაც ჯგუფმა აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შესყიდვა აღიარებულია, როდესაც პირი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან წარმოშობილი უფლებები ფულად ნაკადებზე სხვაგვარად იწურება ან (ბ) ჯგუფი გადასცემს უფლებებს ფინანსური აქტივების ფულად ნაკადებზე ან შედის საკვალიფიკაციო ორმხრივ შეთანხმებაში, ამავდროულად (i) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (ii) არსებითად არ გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარი გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური ვალდებულებებს აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან შეზღუდვის პერიოდს გასდის ვადა.

ფინანსური ინსტრუმენტების გადაფარვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად. გადაფარვის ასეთი უფლება (ა) არ უნდა იყოს შესაძლებელი მომავალი მოვლენისთვის და (ბ) უნდა იყოს სამართლებრივად აღსრულებადი ყველა შემდეგ გარემოებებში: (i) ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში, და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით, და წარმოადგენს მისაღებ ვალდებულებას მიწოდებული საქონლისთვის, გაცხადებული დისკონტების ნეტოს, ბრუნვებს და დამატებული ღირებულების გადასახადს. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლების თანხა შეიძლება იყოს საიმედოდ დათვლილი; როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში; და როდესაც კონკრეტული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია ჯგუფის თითოეული აქტივობისთვის, როგორც აღწერილია ქვემოთ. როდესაც მიღებული საქონლის სამართლიანი ღირებულება ვერ დაითვლება საიმედოდ, შემოსავლების ფასდება გაცემული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. შემოსავლები საქონლის გაყიდვებიდან საქონლის საკუთრების რისკებისა და ჯილდოების გადაცემისას, ჩვეულებრივ მაშინ, როდესაც იგზავნება საქონელი. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი ეთანხმება საქონლის ტრანსპორტირებას მითითებულ ლოკაციაზე, შემოსავალი აღიარებულია როდესაც საქონელი გადაეცემა მომხმარებელს დანიშნულების ადგილზე.

მომსახურების გაყიდვა. გაყიდვების მომსახურება აღიარებულია საანგარიშო პერიოდში, რომელშიც მოხდა მომსახურების გაწევა, კონკრეტული გარიგების დასრულების სტადიის მითითებით, რომელიც

შეფასებულია გაწეული ფაქტობრივი მომსახურების საფუძველზე, მთლიანი გასაწევი მომსახურების პროპორციულად.

შპს რუსთავის ფოლადი

მენეჯმენტის ანგარიში - ბიზნეს მიმოხილვა

1 - ორგანიზაციის ბიზნეს განვითარება, საქმიანობა და პოზიცია

ზოგადი ინფორმაცია. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა (შემდგომში „რმქ“) აშენდა 1948 წელს და წარმოადგენდა ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო საწარმოს საქართველოში ათეულობით წლების განმავლობაში, 1 მილიონი ტონა სხვადასხვა ლითონის პროდუქციის წლიური წარმადობით.

2011 წლის დეკემბერში, რმქ–ს აქტივები, მათ შორის შოთისებრი თუჯის საწარმოო ხაზი, არმატურის წარმოების ხაზი, წიდა, ობიექტები და ა.შ., შეძენილ იქნა შპს რუსთავის ფოლადის მიერ (შემდგომში „კომპანია“). შპს რუთავის ფოლადი შეიქმნა 2011 წლის 29 სექტემბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც შეიქმნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404411908.

2018 წლის იანვარში კომპანიამ გაყიდა თავისი ერთადერთი შვილობილი კომპანია – შპს ქართული ფოლადის სამკურნალო ცენტრი.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფი დაკავებულია ფოლადის ისეთი პროდუქციის წარმოებით, როგორიცაა კვადრატული ნამზადი, არმატურა და უნაკერო მილები. 2017 წელს ფოლადის წარმოების მოცულობამ მიაღწია 105,000 ტონა ფოლადს და 30000 ტონა უნაკერო მილებს. არმატურა ძირითადად იყიდება ადგილობრივ ბაზარზე, კვადრატული ნამზადი ძირითადად მიეწოდება თურქეთს და უნაკერო მილები ექსპორტით გადის ევროპის და დსთ-ს ქვეყნების ბაზრებზე. ჯგუფი ფლობს წიდას 110 ჰა ტერიტორიაზე, სადაც დაგროვებულია „რმქ“–ს წარმოების დროს ნარჩენი ფოლადის წიდა, რომელიც ამჟამად გამოიყენება ფოლადის პროდუქციის წარმოებაში.

ჯგუფი ფლობს ლიცენზიას კირქვის მოპოვებაზე, დედოფლისწყაროს რაიონში, რომელიც გაქირავებულია.

საწარმოს ობიექტები განლაგებულია რუსთავში, საქართველოში.

ფოლადის პროდუქციის დაახლოებით 88% ადგილობრივ ბაზარზე იყიდება. კომპანიის ძირითად ბაზარს არმატურის გაყიდვების მხრივ წარმოადგენს ქართული ბაზარი. რუსთავის ფოლადი არის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე საქართველოს არმატურის ბაზარზე, რომელიც ყიდის ადგილობრივი წარმოების არმატურას. ქართულ ბაზარზე გაყიდული არმატურის დაახლოებით 30% იმპორტირებულია უკრაინიდან, რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან.

კვადრატული ნამზადი და უნაკერო მილები ექსპორტზე გადის სხვადასხვა ქვეყნებში, აქედან ძირითადი ქვეყნებია: დსთ-ს, ევროკავშირის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები. აქედან გამომდინარე, კომპანიის პროდუქცია შეესაბამება საერთაშორისო სერტიფიცირების სტანდარტებს.

ფინანსური მაჩვენებლები. კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათასობით ქართული ლარი	2018	2017
მთლიანი შემოსავალი	207,091,121	164,450,275
არმატურის გაყიდვები	160,612,515	129,002,770
უნაკერო მილების გაყიდვები	30,876,110	18,286,713
გაყიდვების თვითღირებულება	159,580,333	(117,699,778)
მთლიანი გროსს მოგება	47,510,788	46,750,497

<u>ძირითადი ცვლილებების განმარტებები:</u>

არმატურისა და უნაკერო მილების გაყიდვები. კომპანიამ სტაბილურად გაზარდა წარმოება და გაყიდვები ბოლო წლების განმავლობაში. წლიური 50,000 ტონა წარმოებიდან ჩვენ მივაღწიეთ 120,000 ტონა წლიური წარმოების მოცულობას 2018 წლისთვის.

2018 წელს შეინიშნა მნიშვნელოვანი ზრდა მილების გაყიდვების მოცულობებში, რაც გამოიწვია გამოიწვია არსებულ მომხმარებლებთან გაყიდვების გაზრდამ და ასევე გაყიდვების ახალი არხის გახსნამ ამერიკის ბაზართან, სადაც ჩვენ დავიწყეთ ჩვენი უნაკერო მილების ექსპორტი.

2 - სამომავლო განვითარების გეგმები

2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, კომპანიამ დაასრულა 15 ტონა მოცულობის რკალური ღუმელის მშენებლობა. რამაც ხელი შეუწყო კომპანიას, წარმოების წლიური რაოდენობის გაზრდაში 105,000 ტონიდან 120,000 ტონამდე.

კომპანიას დაგეგმილი აქვს რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც ახლაც მიმდინარეობს (2019 წლის სექტემბერი) და უნდა დასრულდეს 2020 წელს. გეგმა ითვალისწინებს შემდეგ ნაბიჯებს:

- ახალი რკალური ღუმელის აგება, 35 ტონა მოცულობით.
- მრგვალი ნამზადის წარმოების დაწყება
- ჟანგბადის ქარხნის მშენებლობა.

ზემოაღნიშნული პროექტების წარმატებით დასრულება მნიშვნელოვანია კოპმანიის გრძელვადიანი განვითარებისთვის. ეს უზრუნველყოფს წარმოების ხარჯების შემცირებას. მრგვალი ნამზადის შიდა წარმოება უზრუნველყოფს საკმარის ნედლეულს უნუნაკერო მილების წარმოებისთვის. ჟანგბადის ქარხნის მშენებლობა დაგეგმილია ადგილობრივი ჟანგბადის შესყიდვების ჩასანაცვლებლად, რაც შეამცირებს ხარჯებს.

3 - კომპანიის მიერ შესრულებული კვლევა და განვითარება

2018 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევით და განვითარების აქტივობებში.

4 - დეტალური ინფორმაცია საკუთარი წილების შეძენის შესახებ
2018 წელს კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი წილების შესყიდვა.

5 - ინფორმაცია ფილიალების შესახებ
კომპანია ამუშავებს ქარხანას რუსთავში, საქართველოში. ის ახორციელებს თავის გაყიდვებს პირდაპირ ქარხნიდან ან პროდუქციის მიწოდებით პირდაპირ კლიენტის სამშენებლო ობიექტებზე. კომპანია ფლობს სადისტრიბუციო ცენტრს თბილისში, ელიავას ბაზრობაზე, სადაც ის ემსახურება მცირე კლიენტებს.
რუსთავის ფოლადი ფლობს წიდასაყარს, სადაც წიდა მუშავდება შემდგომი წარმოების მიზნით, ის მდებარეობს რუსთავსა და გარდაბანს შორის, და იკავებს 110 ჰექტარს. კომპანია ფლობს წიდა-ეზოს, სადაც გროვდება ფოლადის წიდა „რმქ"–ს ოპერაციების საწარმოო ნარჩენების სახით. წიდა შეიცავს მნიშვნელოვანი რაოდენობის რკინასა და თუჯს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მიიჩნეოდა როგორც ნარჩენი. დღესდღეობით, ტექნოლოგიების გაუმჯობესების შედეგად, კომპანიას აქვს შესაძლებლობა ხელახლა გადაამუშაოს წიდა და მიიღოს ფოლადის ჯართი შემდგომი დნობისთვის - რაც ნიშნავს უფრო იაფ წარმოებას.

6 - კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები, მათ შორის, წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით ცვლილებების შესაბამისი განმარტებები მოცემულია ზემოთ, „ფინანსური მაჩვენებლების" ნაწილში.
არაფინანსური მაჩვენებლები.
არაფინანსური მაჩვენებლები. კომპანიამ გაზარდა არმატურის გაყიდვები 2%–ით, 2017 წელთან შედარებით. მან ასევე გაზარდა უნაკერო მილების გაყიდვები 41%–ით, 2016 წელთან შედარებით. დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა რჩება სტაბილური მიმდინარე და წინა წელს და მისი დიაპაზონი არის 1400 - 1500 თანამშრომელი.

6 - წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული რაოდენობების დამატებითი განმარტებები
კომპანიას აქვს შემდეგი ძირითადი სერტიფიკატები:
• მენეჯმენტის სისტემების სერტიფიკატი ISO 9001: 2015 თანახმად;
• ამერიკული ნავთობის ინსტიტუტის სერტიფიკატი ხაზოვანი მილებისთვის API სპეციფიკაცია 5L და გარსაცმი მილებისთვის API სპეციფიკაცია 5ct;
• სერთიფიკატები, ევროპული სტანდარტების შესაბამისად: EN 10210, PED ნიშანდება CE–სთან ერთად მექანიკური და საერთო გამოყენების მილებისთვის;
• DSTU 3760: 2006, GOST 52544, არმატურის პროდუქციისთვის.
ჩვენი მიზანია შემცირდეს ზეგავლენა გარემოზე. აქედან გამომდინარე, კომპანია აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა საქმიანობებში. გასულ წლებში არ ყოფილა სამთავრობო

რეგულაციების შეუსრულებლობის შემთხვევა ჰაერის ან გარემოს დაბინძურების კუთხით. ჩვენი წარმოების ხაზები სრულად შეესაბამება გარემოს დაცვის არსებულ რეგულაციებს.
ჩვენი პრიორიტეტია უმაღლესი უსაფრთხოების სტანდარტების მიღწევა სერიოზული დაზიანებების მიიღების აღსაკვეთად. ბოლო წლების განმავლობაში, კომპანიამ გასწია სერიოზული ძალისხმევა, რომ აემაღლებინა უსაფრთხოების წესების ცოდნა საკუთარ თანამშრომლებს შორის.
ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ჩვენი ადამიანური რესურსების განვითარებაზე, ნიჭიერი და მოტივირებული ადამიანების დასაქმებით. ჩვენ ვთავაზობთ უწყვეტ განვითარებას კომპანიაში, შიდა სასწავლო ცენტრისა და რეალური სამუშაო გამოცდილების საშუალებით. ჩვენ ვთავაზობთ კონკურენტულ ხელფასს იმ პოზიციებზე, რომლებზეც ვასაქმებთ ადამიანებს და ყოველთვის ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ თანამშრომლების დაწინაურებას უფრო მაღალ პოზიციებზე. ჩვენი სახელფასო პაკეტი ასევე მოიცავს ჯანმრთელობის დაზღვევას, კვებასა და უფასო ტრანსპორტირებას.

7 - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფინანსური რისკები:

რისკები

• უცხოური ვალუტის კურსის უარყოფით ცვლილებებს ექნება უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის საქმიანობაზე. ხარჯებისა და საბანკო სესხების უდიდესი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტებში.
• დავალიანებების დროულმა ამოღებამ შესაძლოა წარმოქმნას საკრედიტო რისკი - რადგან კლიენტების ნაწილს ეძლევათ 30-60 დღიანი საკრედიტო ლიმიტები.

ფინანსური რისკების მართვა

• კომპანია ახერხებს შემოსავლების კონტრაქტების უდიდესი ნაწილი ჰქონდეს დენომინირებული უცხოურ ვალუტებში, ისე, რომ ის შეესაბამებოდეს გაზრდილ შემოსავალს დევალვაციის შედეგად გაზრდილი ხარჯებით.
• კომპანია ახორციელებს ფინანსური კომიტეტის ყოველთვიურ რეგულარულ შეხვედრებს, სადაც განიხილება და მოწმდება დავალიანებების ვადაგადაცილება.

საკანონმდებლო რისკები:

რისკები

• ნებისმიერმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა კანონმდებლობაში გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, შეიძლება წარმოშვას დამატებითი ვალდებულებები.

• ნებისმიერმა ცვლილებამ კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების სტანდარტებში, შეიძლება წარმოშვას დამატებითი ვალდებულებები.

საკანონმდებლო რისკების მართვა

• აქტიური თანამშრომლობა ხელისუფლების ორგანოებთან, იმ მიზნით რომ ცვლილებების შემთხვევაში, მოხდეს წინასწარ შეტყობინება, რათა ჩვენ გვქონდეს საკმარისი დრო პასუხის გასაცემად.

საბაზრო რისკები:

რისკები:

• ფოლადის ბაზარი არის ციკლური ბიზნესი და სწრაფი ცვლილებები დროდადრო შეიძლება მოხდეს გაყიდვების ფასებში.

• ბაზარზე შეიძლება გამოჩნდეს ახალი მოთამაშე ფასების დემპინგის პოლიტიკით.

• ფოლადის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის ფასი სწრაფად იცვლება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გროს მოგების შემცირება.

საბაზრო რისკების მართვა:

• კომპანია ცდილობს მოახდინოს დივერსიფიკაცია ახალ პროდუქტებში და ბაზრებზე.

• კომპანია რეგულარულად ახდენს რეორგანიზაციას და ხარჯების შეკვეცას, ხარჯების შემცირებისა და გაყიდვების მარჟის გაზრდის მიზნით.

• კომპანიია თანამშრომლობს ხელისუფლების ორგანოებთან რათა გაატაროს ანტი–დემპინგური და სხვა პოლიტიკები, რაც დაიცავს ადგილობრივ ბაზარს.

საოპერაციო რისკები:

რისკები

• რეპუტაციის შელახვის რისკი - ნებისმიერ, პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემას შეუძლია შელახოს კომპანიის რეპუტაცია.

• მუშახელის ჯანმრთელობის ნებისმიერ სერიოზულ ზიანს - შეიძლება მოჰყვეს კომპანიის სხვადასხვა პასუხისმგებლობები და რეპუტაციის შელახვა.

საოპერაციო რისკების მართვა

• ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი წარმოადგენს პრიორიტეტს კომპანიისთვის, ჩვენ ვფლობთ ლაბორატორიას, სადაც ჩვენ მკაცრად ვაკვირდებით ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხს.

• სამუშაო ადგილის უსაფრთხოება წარმოადგენს პრიორიტეტს კომპანიისთვის და მისი მონიტორინგი ხორციელდება უშუალოდ კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის მიერ. მუშები დაზღვეული არიან შემთხვევითი დაზიანებებისაგან.

ეკონომიკური რისკები:
რისკები
• მთავრობის მიერ მიღებული ახალი აქტები და წესები, ახალი მშენებლობების ლიცენზირებისსა და ნებართვების სფეროში, შეანელებს საქართველოს სამშენებლო ბაზარს.

ეკონომიკური რისკების მართვა
• აქტიური მუშაობა ახალ ბაზრებზე, კლიენტებზე და ექსპორტის ზრდაზე.
• მიმდინარე საკანონმდებლო სამართალწარმოების აქტიური მონიტორინგი.

1 ოქტომბერი, 2019 წელი

/ხელმოწერილია/
აღმასრულებელი დირექტორი
ნუგზარ–გიორგი კაჩუხაშვილი

/ხელმოწერილია/
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე
ფინანსური დირექტორი
არჩილ მელიქაძე

ჯეროვნად ვფლობ ინგლისურ ენას. თარგმანი შეესაბამება ორიგინალს.
მთარგმნელი: ნ. ნაკაშია
I know English language fluently. Translated text corresponds to the original.
Translator: N. Nakashia

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191241163
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	09.10.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	მარინა ჟორდანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, რუსთაველის გამზირი № 22
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 99-50-61; 599 27-39-28
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	49035046996219

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ნოტარიუსი მარინა ჟორდანია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი #22, ვამოწმებ დიპლომირებული მთარგმნელის, ნათია ნაკაშიას (დაბ: .24.05.1985. P/N 01021013239) ხელმოწერის ნამდვილობას.

I, Marina Zhordania, a Notary in the city whose Notary Bureau is located at the address: 22 Rustaveli Ave., Tbilisi, Georgia, certify authenticity of signature of the certified translator Natia Nakashia (born on 24.05.1985., personal №01021013239).

მთარგმნელმა წარმოადგინა ენის დამადასტურებელი დოკუმენტი: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში, გაცემული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 03.09.2008 წ. მე გავაფრთხილე მთარგმნელი იმ პასუხისმგებლობის შესახებ. რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მთარგმნელმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა თარგმანს.

თარჯიმნის 61 ხელმოწერის დამოწმებისთვის გადახდილია საზღაური: 122,00 ლარი/ is paid 122,00 GEL, ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2.00 GEL/ also the payment for registration 2.00 GEL/, (საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. დადგენილება #507, მუხლი 31.3, მუხლი 39.1) (Articles 31.3 and 39.1 of the statement #507 of government of Georgia) სულ: 124,00 ლარი / all 124,00 GEL.

ნოტარიუსი
Notary

მ. ჟორდანია
M. Zhordania



ჯგუფი რუსთავის ფოლადი

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	1
მოგების ან ზარალის და სხვა ერთიანი შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალის ცვლილებაში	3
ფულადი ნაკადის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1	ჯგუფი რუსთავის ფოლადი და მისი ოპერაციები	5
2	ჯგუფის სამოქმედო გარემო	5
3	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას	14
5	ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება	16
6	ახალი სააღრიცხვო დებულებები	17
7	ბალანსები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
8	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	21
9	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
10	მარაგები	24
11	ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	24
12	საწესდებო კაპიტალი	24
13	სესხები	25
14	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
15	შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით	27
16	გაყიდვების თვითღირებულება	27
17	ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	28
18	გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯი	28
19	სხვა ოპერაციული ხარჯები	28
20	ფინანსური ღირებულებები, ნეტო	28
21	გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები	28
22	ფინანსური რისკის მენეჯმენტი	29
23	ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ფასი	32
24	ფინანსური ინსტრუმენტების პრეზენტაცია საზომი კატეგორიით	33
25	მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	33
26	სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რუსთავის ფოლადის“-ის ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, შპს „რუსთავის ფოლადის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება („ფინანსური ანგარიშგება“) ნათლად წარმოაჩენს შპს რუსთავის ფოლადის და მისი სუბსიდიარის („ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთელი თავისი მატერიალური ასპექტებით, და მის კინსოლიდირებულ ფინანსურ საქმიანობას და მის კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს დასრულებული წლის განმავლობაში, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან და საქართველოს კანონთან შესაბამისობაში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.
რისი აუდიტი ჩავატარეთ:
ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები შედგება:

- კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგებისა და ზარალის და მთლიანი შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება;
- დასრულებული წლის კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ;
- დასრულებული წლის კონსოლიდირებული ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენი აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით ,,აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.
ჩვენ გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ დამოუკიდებლები „ჯგუფისაგან“ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ,,პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს ასევე IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მართვის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია საქართველოს კანონის შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენი

აუდიტორის წინამდებარე ანგარიშს), რომელიც ჩვენთვის მისაწვდომი გახდება, სავარაუდოდ, წინამდებარე აუდიტორის ანგარიშის თარიღის შემდეგ.
ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს სხვა ინფორმაციას, მათ შორის მართვის ანგარიშს.
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა არის წავიკითხოთ ზემოთ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია, როდესაც იგი ხელმისაწვდომი გახდება და, ამით განვსაზღვროთ მატერიალურად არის თუ არა ეს ინფორმაცია შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან აუდიტის განმავლობაში, ან სხვაგვარად თუ ჩანს მისი მატერიალური შეუსაბამობა.
გარდა ამისა, ჩვენ ვალდებულნი ვართ, გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით რომ მენეჯმენტის ანგარიშის გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვსაზღვროთ მოიცავს თუ არა მენეჯმენტის ანგარიში ისეთ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე ჩვენ დავადგენთ ნებისმიერ მატერიალურ შეუსაბამობას მენეჯმენტის ანგარიშში, ჩვენ მოგვეთხოვება ასეთი ფაქტის შესახებ ანგარიშის წარდგენა. არაფერი გვაქვს გასაცხადებელი ზემოჩამოთვლილთან მიმართებაში.

შპს „ფრაისვოთერჰაუსკუპერს ჯორჯია“, მისამართი: #12 ალექსიძის ქუჩა, ბიზნეს ცენტრი მეფე დავითი, VII სართული, თბილისი, 0171, საქართველო, ტელ: + 995 32 250 80 50; www.pwc.com.ge

ჩვენი აუდიტის მიმდინარეობისას ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა მატერიალურ საკითხთან დაკავშირებით:
მენეჯმენტის ანგარიშში ფინანსული წლის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშები, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშებს; და
მენეჯმენტის ანგარიში შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნომატიულ აქტებს.

ხელმძღვანელობის და იმ პირების პასუხისმგებლობა, რომელთა მოვალეობა არის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მართვა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენაზე საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების და საქართველოს კანონის შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, და ასევე ისეთ შიდა კონტროლზე, რომელსაც მენეჯმენტი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ უზუსტობებს.
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა არის შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, გააცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები საჭიროების შემთხვევაში და

აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.
ისინი, ვისი მოვალეობაც არის მართვა, პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად ისინი გავლენას იქონიებენ მომხმარებლის მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.
ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობების რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით. რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ გამოყენებული საარღიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას და საარღიცხვო შეფასებების გონივრულობას და მათთან დაკავშირებულ გაცხადებებს, მენეჯმენტის მიერ.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორულ დასვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე ან თუ განმარტებით შენიშვნებში არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას, თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, ფუნქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი იურიდიული პირების ან ბიზნეს საქმიანობის ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის მართვაზე, ზედამხედველობაზე და შესრულებაზე. ჩვენ ვრჩებით პასუხისმგებელნი მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

პირებთან, რომელთა პასუხისმგებლობა არის მართვა, ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის, ვატყობინებთ დაგეგმილი აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომელსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

შპს „ფრაისვოთერჰაუსკუპერს ჯორჯია“–ს სახელით (რეგ.# SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (რეგ. #SAKAS-A-562091)

1 ოქტომბერი, 2019 წელი

თბილისი, საქართველო

ჯგუფი რუსთავის ფოლადი

კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

(თანხები ასახულია ქართულ ეროვნულ ვალუტა – ლარში)

	ნოტა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
არამიმდინარე აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	51,030,547	45,392,405
არამატერიალური აქტივები	8	1,566,194	1,694,291
არამიმდინარე აქტივები ჯამში		52,596,741	**47,086,696**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	77,052,682	52,720,621
სავაჭრო და სხვა მისაღები თანხები	9	17,936,779	19,789,094
წინასწარ გადახდილი და ამოღებადი გადასახადები		–	1,184,505
ფული და ფულადი ექვივალენტი	11	3,735,631	1,177,500
მიმდინარე აქტივები ჯამში		98,725,092	**74,871,720**
მიმდინარე აქტივები		151,321,833	**121,958,416**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12		
აკუმულირებული დანაკარგები		(62,513,326)	(71,953,711)
კაპიტალი ჯამში		**(62,513,326)**	**(71,953,711)**
ვალდებულებები			
არა-მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	13	28,771,159	27,681,585
არა–მიმდინარე ვალდებულებები ჯამში		**28,771,159**	**27,681,585**
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	13	160,138,952	139,164,932
სავაჭრო და სხვა დავალიანება	14	23,768,726	27,065,610
სხვა გადასახდელი გადასახადები		1,156,322	–
მიმდინარე ვალდებულებები ჯამში		185,064,000	**166,230,542**
ვალდებულებები ჯამში		**213,835,159**	**193,912,127**
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები ჯამში		151,321,833	**121,958,416**

დამტკიცებულია გამოქვეყნებისთვის და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 1 ოქტომბერს:

/ხელმოწერილია/
გენერალური დირექტორი
ნუგზარ–გიორგი კაჭუხაშვილი

/ხელმოწერილია/
გენერალური დირექტორის მოადგილე მოადგილე:
ფინანსური დირექტორი
არჩილ მელიქაძე

თანმხლები შენიშვნები 5 – 35 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ჯგუფი რუსთავის ფოლადი

მოგების ან ზარალის და სხვა ერთიანი შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

(თანხები ასახულია ქართულ ეროვნულ ვალუტა – ლარში)

	ნოტა	2018	2017
რეალიზაცია	**15**	**207,091,121**	**164,450,275**
რეალიზაციის თვითღირებულება	**16**	(159,580,333)	(117,699,778)
გროსს მოგება		**47,510,788**	**46,750,497**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	**8,14**	1,405,402	3,486,111
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**17**	(12,051,431)	(11,659,905)
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	**18**	(4,463,698)	(3,885,130)
სხვა საოპერაციო ხარჯები	**19**	(3,776,246)	(3,481,234)
საოპერაციო მოგება		**28,624,815**	**31,210,339**
მოგება / ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან, ნეტო		(4,036,652)	2,902,531
ფინანსური ხარჯები	**20**	(15,760,992)	(15,241,555)
მოგება მოგების გადასახადამდე		**8,827,171**	**18,871,315**
მოგების გადასახადის ხარჯი	**21**	**–**	**–**
წლის მოგება		**8,827,171**	**18,871,315**
წლის სხვა ერთიანი შემოსავალი	**–**	**–**	**–**
წლის მთლიანი შემოსავალი / (ზარალი) ჯამში		**8,827,171**	**18,871,315**

თანმხლები შენიშვნები 5 – 32 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ჯგუფი რუსთავის ფოლადი

კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალის ცვლილებაში

(თანხები ასახულია ქართულ ეროვნულ ვალუტა – ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	ჯამი
ბალანსი 2017 წლის 1 იანვარს	–	**(90,825,026)**	**(90,825,026)**
წლის ზარალი	–	18,871,315	18,871,315
წლის მთლიანი ზარალი ჯამში	–	18,871,315	18,871,315
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერს	–	**(71,953,711)**	**(71,953,711)**
IFRS 9 მიღება – მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ხელახალი შეფასება	–	613,214	613,214
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარს	–	**(71,340,497)**	**(71,340,497)**
წლის მოგება	–	8,827,171	8,827,171
წლის მთლიანი შემოსავალი ჯამში	–	8,827,171	8,827,171
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერს	–	**(62,513,326)**	**(62,513,326)**

ჯგუფი რუსთავის ფოლადი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

(თანხები ასახულია ქართულ ეროვნულ ვალუტა – ლარში)

	ნოტა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		223,521,642	175,353,198
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(13,337,158)	(13,624,349)
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულად სახსრები		(182,506,221)	(124,460,454)
გადახდილი პროცენტი		(3,825,359)	(4,059,551)
გადახდილი გადასახადები		(15,879,818)	(22,691,738)
საბანკო ხარჯები და გასამრჯელოები		(768,765)	(352,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**7,204,321**	**10,165,106**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმოანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(13,693,316)	(3,709,571)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	8	–	4,376,987
შვილობილი კომპანიების გასხვისება, ნეტო	1	1,027,261	–
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმოანობიდან / (სთვის)		**(12,666,055)**	**667,416**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმოანობიდან			
საბანკო სესხების აღება	13	86,776,348	40,976,620
საბანკო სესხების გადახდა	13	(74,761,388)	(49,305,061)
ფინანსური ლიზინგის გადახდა	13	(593,102)	(1,290,472)
დაკავშირებული მხარის სესხების გადახდა	13	(3,070,387)	(2,172,690)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**8,351,471**	**(11,791,603)**
გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგი ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე		(331,606)	(185,954)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა (შემცირება)/გაზრდა		**2,558,131**	**(1,145,035)**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში		**1,177,500**	**2,322,535**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასასრულს		**3,735,631**	**1,177,500**

თანმხლები შენიშვნები 5 – 32 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. ჯგუფი რუსთავის ფოლადი და მისი საქმიანობა

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა (რმქ) აშენდა 1948 წელს და წარმოადგენდა ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო საწარმოს საქართველოში ათეული წლის განმავლობაში, 1 მილიონი ტონა სხვადასხვა ლითონის პროდუქციის წლიური წარმადობით. 2005 წელს, მოხდა რმქ–ს პრივატიზება და მისი აქტივები შეძენილ იქნა შპს „ენერგია და ინდუსტრია"–ს მიერ, რომლებიც შემდგომში გადაეცა სს ქართულ ფოლადს და შპს თუჯი XXI–ს.

2011 წლის დეკემბერში, რმქ–ს აქტივები, მათ შორის შოთისებრი თუჯის საწარმოო ხაზი, არმატურის წარმოების ხაზი, წიდასაყარი, საწარმოო ობიექტები და ა.შ., შეძენილ იქნა რუსთავის ფოლადის მიერ (შემდგომში „კომპანია";). შპს რუთავის ფოლადი შეიქმნა 2011 წლის 29 სექტემბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც შეიქმნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404411908.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, კომპანიის დედა კომპანია და საბოლოო დედა კომპანია იყო Tolanius Beheer BV რეგისტრირებული ნიდერლანდებში და Nominee SP Trustees GmbH რეგისტრირებული შვეიცარიაში, შესაბამისად.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ჯგუფს არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე, რადგანაც როგორც კერძო პირები, ისინი ფლობენ კომპანიის აქციებს და აქვთ თანაბარი უფლებები და ფლობენ თანაბარ წილს კომპანიაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით კომპანია იყო ერთადერთი მფლობელი შვილობილისა, შპს საქართველოს სამკურნალო ცენტრის, რომელიც სამედიცინო მომსახურებას უწევს ძირითადად კომპანიის პერსონალს, რომელიც გასხვისდა 2018 წლის 6 თებერვალს, კომპენსაციით - 425,000 აშშ დოლარად. (ექვივალენტი ქართულ ლარში – 1,045,160 გადახდის დღეს არსებული კურსით) მოგება, 596,702 ლარი აღიარებული იქნა მოგების ან ზარალის და სხვა ერთიანი შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, „სხვა ოპერაციულ შემოსავალში."

კომპანია არის ერთადერთი მფლობელი შპს რუსთავის მეტალისა, რომელიც არის არააქტიური ერთეული. კომპანია და მისი შვილობილი ერთობლივად მოიხსენება, როგორც "ჯგუფი" ან „რუსთავის ფოლადი".

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფი დაკავებულია ფოლადის ისეთი პროდუქციის წარმოებით, როგორიცაა კვადრატული ნამზადი, არმატურა და უნაკერო მილები. 2018 წელს ფოლადის წარმოების მოცულობამ მიაღწია 120,000 ტონა ფოლადს (კვადრატული ნამზადი და არმატურა ერთად) და 30,000 ტონა უნაკერო მილებს. არმატურა ძირითადად იყიდება ადგილობრივ ბაზარზე, კვადრატული ნამზადი ძირითადად მიეწოდება თურქეთს და უნაკერო მილები ექსპორტით გადის ევროპის და დსთ-ს ქვეყნების ბაზრებზე. ჯგუფი ფლობს წიდას 110 ჰა ტერიტორიაზე, სადაც დაგროვებულია „რმქ"–ს წარმოების დროს ნარჩენი ფოლადის წიდა, რომელიც ამჟამად გამოიყენება ფოლადის პროდუქციის წარმოებაში. ჯგუფი ფლობს ლიცენზიას კირქვის მოპოვებაზე (დეტალები იხილეთ შენიშვნა 8–ში) დედოფლისწყაროს რაიონში, რომელიც გაქირავებულია. საწარმოს ობიექტები განლაგებულია რუსთავში.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი.
კომპანიის რეგისტრირებული მისამართია გაგარინის ქუჩა N12, რუსთავი, საქართველო.

პრეზენტაციის ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 ჯგუფის სამოქმედო გარემო
ჯგუფი ძირითად საქმიანობას ეწევა საქართველოში. საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ ნიშნებს, მათ შორის შედარებით მაღალ ინფლაციას და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს.
საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია ხელისუფლების მიერ მიღებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და ფულად გადაწყვეტილებებზე, საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებასთან ერთად.
მენეჯმენტი ვერ მოახდენს ყველა მოვლენის პროგნოზირებას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად ვერ გათვლის, თუ რა ეფექტი შეიძლება იქონიონ მათ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ის ყველა საჭირო ზომას მიმართავს ჯგუფის საქმიანობის მდგრადობის და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის პირველ წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“;) შესაბამისად, რაც გამოცემულია ბასს–ის მიერ, საქართველოს კანონის შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ, ისტორიული ღირებულების კონვენციის თანახმად. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო მეთოდები ჩამოთვილია ქვემოთ. გარდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებისა, რომელიც შედეგად მოჰყვა 2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული IFRS 9 და IFRS 15–ს მიღებას, ეს მეთოდები გამუდმებით გამოიყენებოდა წარმოდგენილი პერიოდებისთვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ფინანსურ ინსტრუმენტებთან და შემოსავლების აღიარებასთან დაკავშირებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენებოდა 2017 წლის 31 დეკემბრამდე, წარმოდგენილია შენიშვნა 26–ში.
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება IFRS–თან შესაბამისად, მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სახარჯთაღრიცხვო ვარაუდების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მიერ გადაწყვეტილებების მიღებას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლების მოიცავს მაღალი ხარისხის გადაწყვეტილებებს ან სირთულეს, ან სფეროები, სადაც დაშვებები და ვარაუდები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია შენიშვნა 5–ში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი კომპანიები არიან ის ინვესტიციის მიმღებები, მათ შორის სტრუქტურული ერთეულები, რომელთაც აკონტროლებს ჯგუფი, რადგან ჯგუფს (i) აქვს ძალაუფლება მართოს ინვესტიციის მიმღებების შესაბამისი ქმედებები, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს მათ ანაზღაურებაზე, (ii) აქვს ექსპოზიცია ან უფლებები ცვლად ბრუნვებზე რაც გამომდინარეობს მისი, ინვესტიციის მიმღებებთან ჩართულობიდან და (iii) აქვს უნარი გამოიყენოს თავისი ძალაუფლება ინვესტიციის მიმღებებზე და ამით იმოქმედოს ინვესტორის ბრუნვებზე. არსებითი უფლებების, მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის მიცემის უფლების არსებობა და გავლენა განიხილება ჯგუფის ძალაუფლების შეფასებისას სხვა პირზე. იმისთვის რომ უფლება იყოს არსებითი, მფლობელს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული უნარი განახორციელოს ეს უფლება, როდესაც ინვესტიციის მიმღების მიერ უნდა მოხდეს მნიშვნელოვანი მოქმედებების გადაწყვეტა. ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს ძალაუფლება ინვესტიციის მიმღებზე მაშინ, როდესაც იგი ფლობს ხმის მიცემის უფლების უმრავლესობაზე ნაკლებს ინვესტიციის მიმღებში. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას ჰოლდინგის სხვა მფლობელების დისპერსიასთან, რათა დაადგინოს აქვს თუ არა მას ფაქტობრივი ძალაუფლება ინვესტიციის მიმღებში. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა ისეთები, რომლებიც ეხება ფუნდამენტურ ცვლილებებს ინვესტიციის მიმღების საქმიანობაში ან გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, არ ზღუდავს ჯგუფს აკონტროლოს ინვესტიციის მიმღები. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებული არიან იმ დღიდან, როდესაც კონტროლი გადადის ჯგუფის დაქვემდებარებაში (შეძენის თარიღი) და დეკონსოლიდირებულია იმ დღიდან, როდესაც წყდება კონტროლი.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი კომპანიების შეძენის ბუღალტრული აღრიცხვისთვის. იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც იგულისხმება ბიზნეს კომბინაციაში, ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისას, მიუხედავად ნებისმიერი არაკონტროლირებად პროცენტის მოცულობისა.

ჯგუფი აფასებს არაკონტროლირებად პროცენტს, რომელიც წარმოადგენს საკუთრების საპროცენტო სარგებელს და მფლობელს აძლევს საშუალებას პროპორციულად დაანაწილოს წმინდა აქტივები ტრანზაქციაზე ლიკვიდაციის შემთხვევაში, ტრანზაქციის საფუძველზე, ან: (ა) სამართლიანი ღირებულებით, ან (ბ) შემძენის არა–კონტროლირებადი პროცენტის პროპორციული წმინდა აქტივების წილით. არაკონტროლირებადი პროცენტი, რომელიც არ არის წარმოდგენილი საკუთრების პროცენტში, იზომება სამართლიანი ღირებულებით.

გუდვილი იზომება შეძენილი პირის წმინდა აქტივების გამოკლებით შესყიდულ კომპანიაზე გადაცემული ანაზღაურების ერთობლიობაზე, შეძენილ ერთეულში არა–კონტროლირებადი პროცენტის რაოდენობაზე და პროცენტის სამართლიან ღირებულებაზე, უშუალოდ შეძენის თარიღამდე. ნებისმიერი ნეგატიური თანხა („ნეგატიური გუდვილი "ან „გარიგების შეძენა“) აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი გადააფასებს რომ მან დაადგინა ყველა შეძენილი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები და მათი შეფასების მიზანშეწონილობის განხილვები.

შეძენილი კომპანიისთვის გადახდილი თანხა იზომება დათმობილი აქტივების სამართლიანი ღირებულებით, გაცემული წილობრივი ინსტრუმენტებით და ნაკისრი ან, შეძენილი ვალდებულებებით, მათ შორის აქტივების სამართლიანი ღირებულება ან პირობითი საფასურის შეთანხმების ვალდებულებები, მაგრამ გამორიცხავს შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასების და მსგავს პროფესიული მომსახურებები. შეძენასთან დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები და კაპიტალის ინსტრუმენტების გაცემისთვის დარიცხული ხარჯები აკლდება კაპიტალს; ვალის გაცემისთვის

დარიცხული ტრანზაქციის ხარჯები, როგორც ბიზნეს კომბინაციის ნაწილი, ჩამოიჭრება დავალიანების საბალანსო თანხიდან და ყველა სხვა, შეძენასთან დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები ჩამოიწერება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიებს შორის ტრანზაქციები, ნაშთები და არარეალიზებული მოგება ჯგუფის კომპანიებს შორის არის ლიკვიდირებული; არარეალიზებული ზარალი ასევე ლიკვიდირებულია, თუ შეუძლებელია ხარჯის ამოღება. კომპანია და ყველა მისი შვილობილი კომპანია იყენებს ერთნაირ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ჯგუფის პოლიტიკას.

არაკონტროლირებადი პროცენტი არის წმინდა შედეგების და შვილობილი კომპანიის ის ნაწილი, რომელიც დამახასიათებელია პროცენტებისთვის, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ არის ჯგუფის მფლობელობის ქვეშ. არაკონტროლირებადი პროცენტი შეადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად გარემოში, სადაც ეს ორგანიზაცია ოპერირებს. ჯგუფის და მისი შვილობილი კომპანიების ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“).

ტრანზაქციები და ნაშთები. მონეტარული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. უცხოური ვალუტის მოგება-ზარალი, რომელიც გამოწვეულია ტრანზაქციების განხორციელებით და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციით თითოეული ერთეულის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის წლის ბოლო ოფიციალური გაცვლითი კურსით და აღიარებულია როგორც შემოსავალი ან ხარჯები. უცხოური ვალუტის გადაცვლის მოგება ან დანაკარგები, რომლებიც უკავშირდება სესხებს და ფულსა და ფულად ექვივალენტებს, წარმოდგენილია მოგების ან ზარალის და სხვა ერთიანი შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, „უცხოური ვალუტის გადაცვლის მოგება / ზარალი, ნეტო“–ში. უცხოური ვალუტის გადაცვლის ყველა სხვა მოგება ან ზარალი წარმოდგენილია მოგების ან ზარალის და სხვა ერთიანი შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, „სხვა ოპერაციულ ხარჯებში.“

კონვერტაცია წლის ბოლო კურსით არ ვრცელდება არაფულად საგნებზე, რომელიც ფასდება ისტორიული ღირებულებით. არაფულადი საგნების კონვერტაცია, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, მათ შორის კაპიტალის ინვესტიციები, ხდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც განისაზღვრა მათი სამართლიანი ღირებულება. არაფულად საგნებზე გაცვლითი კურსის გავლენა იზომება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, რომელიც ჩაწერილია როგორც სამართლიანი ღირებულების მოგების ან ზარალის ნაწილი.

2018 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსი იყო 1 აშშ დოლარი („USD“) = 2.6766 ლარი და 1 ევრო („EUR“) = 3.0701 ლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი, 1 ევრო = 3.1044 ლარი). დღეისათვის, ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნების უმეტესობაში საქართველოს საზღვრებს გარეთ.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისთვის ან მიიღება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის ტრანზაქციის საფუძველზე, შეფასების თარიღისათვის. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი არის ერთი, რომელშიც

ოპერაციები აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ხდება საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ფასების შესახებ ინფორმაცია უწყვეტ საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლითაც ვაჭრობა ხდება აქტიურ ბაზარზე, ფასდება როგორც კოტირებული ფასის პროდუქტი ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულებისთვის და პირის მიერ ფლობილი ინსტრუმენტების რაოდენობით. ეს არის შემთხვევა, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური სავაჭრო მოცულობა არ არის საკმარისი აითვისოს არსებული რაოდენობა და პოზიციის ერთი ტრანზაქციით გაყიდვის შეკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები ან ისეთი მოდელები, რომლებიც დაფუძნებულია ბოლო დროის თავისუფალი ნების ტრანზაქციებზე ან ინვესტიციის მიმღებების ფინანსური მონაცემების გაანალიზებაზე, გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომელთათვის გარე საბაზრო ფასების ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. სამართლიანი ღირებულების საზომი გაანალიზებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით, შემდეგნაირად: (i) პირველ დონეზე არის საზომები კოტირებული ფასებით (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისთვის ან ვალდებულებისთვის, (ii) მეორე დონის საზომები არის შეფასების ტექნიკები ყველა დაკვირვებადი მატერიალური რესურსებით აქტივის ან ვალდებულებისთვის, ან უშუალოდ (როგორიც არის ფასები) ან არაპირდაპირ (როგორიცაა ფასებიდან მიღებული), და (iii) მესამე დონის საზომები არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (რომ, გაზომვა მოითხოვს მნიშვნელოვან არაშესამჩნევ რესურსებს).

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ტრანზაქციის ხარჯები არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ ახლავს ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდვას, გაცემას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ის, რომელიც არ იქნებოდა დარიცხული, რომ არ მომხდარიყო ტრანზაქცია. ტრანზაქციის ხარჯები მოიცავს აგენტისთვის გადახდილ გასამრჯელოებსა და საკომისიოებს (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩევლები, ბროკერები და დილერები, შეიცავს მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების ბეგარებს, და ტრანსფერის ბეგარებსა და გადასახადებს. ტრანზაქციის ხარჯები არ მოიცავს მომგებიან სესხს ან ფასდათმობას, დაფინანსების ხარჯებს, ან შიდა ადმინისტრაციულ ან სხვა ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება (AC) არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის "ECL") გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (მათ შორის მოსაკრებლების წარმოშობისას გადავადებული, ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის წარმოდგენილი ცალცალკე და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის განაწილება შესაბამისი პერიოდზე, რათა მივაღწიოთ მუდმივ პერიოდულ საპროცენტო განაკვეთს (ეფექტური

საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ნაღდი გადახდების ან ფულადი შემოსავლების (გარდა სამომავლო საკრედიტო დანაკარგებისა) დისკონტს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოქმედების განმავლობაში ან მოკლე პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო თანხამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს ფასდაკლებას სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების ფულად ნაკადებზე მომდევნო პროცენტის ხელახალი შეფასების თარიღამდე, გარდა პრემიისა ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში მითითებულ ცვლად განაკვეთზე გავრცელებულ კრედიტს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის შეწყობილი საბაზრო განაკვეთებთან. ამგვარი პრემიები და ფასდაკლებები ამორტიზირებულია ინსტრუმენტის აქტივობის მთლიან ვადაში. წინამდებარე ღირებულების გამოთვლა მოიცავს ყველა გადახდილ ან მიღებულ გადასახადს ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს. აქტივებისთვის, რომლებიც შეძენილია ან წარმოიშვა კრედიტის გაუფასურებით ("POCI") თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი რეგულირდება საკრედიტო რისკისთვის, ანუ ის გამოითვლება თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ნაცვლად სახელშეკრულებო გადახდებისა.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება - სამართლიან ღირებულებას დამატებული საოპერაციო ხარჯებით.. სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას სათანადოდ არის დასაბუთებული გარიგების ფასით. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსხვავება სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დასაბუთებაც შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტთან დაკავშირებული სხვა მიმდინარე საბაზრო გარიგებების საშუალებით, ან შეფასების ისეთი მეთოდებით, რომლებიც მხოლოდ ბაზარზე დაკვირვებების შედეგად მიღებულ მონაცემებს მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ECL თანხა აღიარებულია ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც იზომება დადგენილი კაპიტალით ხოლო ინვესტიციებში სხვა ყოვლისმომცველი შემოსავლის მეშვეობით მიღებული რეალური ღირებულება იზომება სავალო ინსტრუმენტებში, რის შედეგადაც დაუყოვნებლივ მიიღება ზარალი.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები - ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შეფასების შემდეგი კატეგორიების მიხედვით: „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით", „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით" და „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული". სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელიც დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის გამოიყენება; და (ii) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნესის მოდელი. ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების შექმნის მიზნით - თუ რა არის ჯგუფის მიზანი: (i) აქტივებიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით"); თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო

ფულადი ნაკადების, ისე აქტივების გაყიდვით წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“); ან თუ არცერთი ზემოაღნიშნული პუნქტი მოქმედებს, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც „სხვა“ ბიზნეს მოდელის ნაწილი და ფასდება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.
ბიზნეს მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) ყველა იმ სათანადო მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მეთოდებით მართავს ჯგუფი ფინანსურ აქტივებს შეფასების დღეს არსებული პორტფელის გარკვეული მიზნის მისაღწევად. ჯგუფის მიერ ბიზნესმოდელის განსაზღვრისას განხილული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანს და შემადგენლობას, ასევე წარსულ გამოცდილებას იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა შესაბამისი აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება და როგორ ფასდება და იმართება რისკები.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდების შეჯამება (გაგრძელება)

თუ ისეთი ბიზნესმოდელია შერჩეული, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, ჯგუფი განსაზღვრავს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. ჩართული წარმოებული ფინანსური აქტივები მთლიანობაში განიხილება მაშინ, როდესაც დადგინდება, მათი ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. ამ შეფასებისას, ჯგუფი განიხილავს თუ რამდენად შეესაბამება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო შეთანხმებას, ანუ, პროცენტი მოიცავს მხოლოდ ანაზღაურებას საკრედიტო რისკის, ფულის დროითი ღირებულების, გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას.
თუ სახელშეკრულებო პირობები იწვევს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დაქვემდებარებას ისეთ რისკებზე ან ცვალებადობაზე, რაც არ შეესაბამება საბაზისო სასესხო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდის შეფასება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას ხდება და არ ექვემდებარება შემდგომში ხელმეორე შეფასებას. თავისი ფინანსური აქტივებისთვის მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდების შემოწმებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული კრიტიკულად მნიშვნელოვანი შეფასებები იხილეთ მე-4 შენიშვნაში.
ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო ცვლის პორტფელის მართვის ბიზნესმოდელს. რეკლასიფიკაციას სამომავლო შედეგების მოტანა შეუძლია და ხორციელდება ბიზნესმოდელის შეცვლიდან პირველივე საანგარიშო პერიოდის დასაწყისში. მიმდინარე და შედარებითი პერიოდის განმავლობაში სუბიექტმა არ შეცვალა თავისი ბიზნესის მოდელი და შესაბამისად რეკლასიფიცირებას არ ჰქონია ადგილი.
ფინანსური აქტივების გაუფასურება - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი. ჯგუფი აფასებს, სამომავლო პერსპექტივაში, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და სხვა სრულ შემოსავალში ასახული რეალური ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების მიმართ და სესხის გაცემის ვალდებულებიდან და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკების მიმართ. ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს და მოსალოდნელი საკრედიტო

ზარალის რეზერვს აღიარებს ყოველ საანგარიშგებო თარიღზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ასახავს: ა) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; ბ) ფულის დროით ღირებულებას; და გ) გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

ჯგუფი მიმართავს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, და იყენებს სარგებლობის პერიოდში მოსალოდნელი ზარალის რეზერვს ყველა სავაჭრო დებიტორულ მოთხოვნასთან მიმართებაში. სავარაუდო საკრედიტო ზარალის შესაფასებლად სავაჭრო დებიტორული ჯგუფები დაჯგუფებულია საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით.

ზარალის მოსალოდნელი განაკვეთები დაფუძნებულია გაყიდვების გადახდის პროფილებზე, 2018 წლის 31 დეკემბრამდე ან 2018 წლის 1 იანვრამდე 24 თვის განმავლობაში, და ამ პერიოდის განმავლობაში მიღებული ისტორიული საკრედიტო ზარალზე. ზარალის ისტორიული რეგულირება ხდება იმისთვის, რომ ასახავდეს მიმდინარე და ფორვარდულ ინფორმაციას მაკროეკონომიკური ფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებლების მიერ მოთხოვნების დაფარვის უნარზე. ჯგუფმა დაადგინა CPI და უცხოური ვალუტის კურსი იმ ქვეყნებში, სადაც ის ყიდის თავის საქონელსა და მომსახურებას, აღნიშნული მიჩნეულ იქნა ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად და, შესაბამისად, მოხდა ისტორიული ზარალის მაჩვენებლების ამ ფაქტორების მოსალოდნელ ცვლილებებზე დაყრდნობით შესწორება.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას ნიშნავს. ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როდესაც ჯგუფი ხელშეკრულების მიხედვით ვადადამდგარი თანხების ამოღებას ცდილობს, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი, ან მოსალოდნელი ამოღება უმნიშვნელოა დარჩენილ ვალდებულებასთან შედარებით.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან ბ) ჯგუფს გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და (i) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს ან (ii) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს არც ასხვისებს და არც ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს.

კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს აქტივის დაუკავშირებელ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები - მოდიფიკაცია. ზოგჯერ ჯგუფი ხელახლა ათანხმებს ან სხვაგვარად ცვლის ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებს. ჯგუფი აფასებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მოძრაობის მოდიფიკაცია, სხვა ფაქტორებს შორის შემდეგის გათვალისწინებით: ახალი სახელშეკრულებო პირობები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგ. მოგების წილი ან საწესდებო კაპიტალზე დაფუძნებული ამონაგები); საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება; ვალუტის დენომინაციაში ცვლილება; ახალი უზრუნველყოფა ან კრედიტის გაზრდა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან

დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე; ან მნიშვნელოვანი სესხის გაცემა, როდესაც მსესხებელი არ დგას ფინანსური სირთულეების წინაშე.

თუ მოდიფიცირებული პირობები ძირეულად განსხვავდება, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ჯგუფი თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, და აღიარებს ახალ აქტივს რეალური ღირებულებით. ხელახლა შეთანხმების თარიღი მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღად საბოლოოდ გაუფასურების გაანგარიშების მიზნებისთვის, ასევე იმის დასადგენად, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. ჯგუფი ასევე აფასებს, თუ რამდენად პასუხობს ახალი სესხი თუ სავალო ინსტრუმენტი მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდის კრიტერიუმს. აღიარება შეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალ, ძირეულად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის განსხვავების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, თუ განსხვავება არსობრივად მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ უკავშირდება.

ისეთ სიტუაციაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა კონტრაგენტის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განუხორციელებლობით არის გამოწვეული, ჯგუფი თავდაპირველ და გადასინჯულ მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობებს ერთმანეთს ადარებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და სარგებელი ძირეულად განსხვავდება თუ არა ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად. თუ რისკები და სარგებელი ძირეულად არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველისგან და მოდიფიკაცია არ სრულდება აღიარების შეწყვეტით. ჯგუფი ხელახლა ანგარიშობს ბრუტო საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, შეძენილი ან შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში) და მოდიფიკაციის მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - გაანგარიშების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებისა: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება წარმოებულებზე, სარეალიზაციოდ განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგ.: მოკლე პოზიციები ფასიან ქაღალდებში), შემძენის მიერ აღიარებულ პირობით თანხაზე ბიზნეს კომბინაციაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ასეთად აღიარდება თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან შეზღუდვის პერიოდს გასდის ვადა.

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ გამომდინარეობს მათი შეწყვეტიდან, აღირიცხება როგორც ცვლილება ხარჯთაღრიცხვაში, კუმულატიური მიახლოების მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი მოგების ან ზარალის აღიარებით მოგებასა და ზარალში, თუ მიმდინარე ღირებულებებში განსხვავებების არსი მიეწერება კაპიტალის ტრანზაქციებს მფლობელებთან.

ფინანსური ინსტრუმენტების გადაფარვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო

თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად. გადაფარვის ასეთი უფლება (ა) არ უნდა იყოს შესაძლებელი მომავალი მოვლენისთვის და (ბ) უნდა იყოს სამართლებრივად აღსრულებადი ყველა შემდეგ გარემოებებში: (i) ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში, და (iii) გადახდისუუნაროობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, საჭიროების შემთხვევაში.

შემდგომი ხარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია, როგორც ცალკე აქტივი, შესაბამისად მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია, რომ საგანთან ასოცირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და ნივთის ღირებულება შეიძლება შეფასდეს საიმედოდ. მცირე რემონტის და დღიური შეკეთების ხარჯები იხარჯება წარმოქმნისას. ძირითადი ნაწილების ან ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა, ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი განსაზღვრავს აღდგენით ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება როგორც უფრო მაღალი, ვიდრე აქტივის სამართლიანი ღირებულების გაყიდვის ნაკლები ღირებულებით და მისი მოხმარებაში მყოფი ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად თანხამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც წინა წლებში აღიარებულია აქტივად, საჭიროების შემთხვევაში იცვლება თუ მოხდა ცვლილება მოხმარებაში მყოფი აქტივის ღირებულების შეფასებისას გამოყენებულ ხარჯთაღრიცხვებში ან სამართლიანი ღირებულების გასაყიდ, ნაკლებ ფასში.

განკარგვის მოგება და ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულების შედარებითი აქტებით და აღიარებულია წლის მოგებაში ან ზარალში, სხვა საოპერაციო შემოსავალებში ან ხარჯებში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვეთა. მიმდინარე მშენებლობა (CIP) და დაუმონტაჟებელი მოწყობილობები ცვეთას არ ექვემდებარება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ღირებულების განაწილება მათ რეზიდუალურ ღირებულებებზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)	
შენობები	10-50 წელი
მანქანები და მოწყობილობა	10-20 წელი
ტრანსპორტი	5 -10 წელი
საოფისე და სხვა აღჭურვილობა	2-10 წელი

აქტივის რეზიდუალური ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რასაც ჯგუფი ამჟამად მიიღებს აქტივის ნაკლებ ფასად გაყიდვით, ვიდრე მისი შეფასებული ღირებულებაა, როდესაც აქტივი უკვე არის იმ ასაკში და მდგომარეობაში, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივების რეზიდუალური ღირებულებები და მომსახურების ვადა გადაისინჯება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება, თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები იზომება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურებით.
არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:
სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)

კომპიუტერული პროგრამა	3-6 წელი
ლიცენზიები	5-15 წელი

არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური ცხოვრების განმავლობაში და შეფასდება გაუფასურებაზე, როდესაც არსებობს მაჩვენებელი, რომ არამატერიალური აქტივი შეიძლება იყოს გაუფასურებული. ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი განსაზღვრული სასიცოცხლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივისთვის გადაიხედება სულ მცირე თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ცვლილებები მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადაში და მომავალი ეკონომიკური ბენეფიტების ათვისების მოსალოდნელ ნიმუშში, რომლებიც განსხეულებულია აქტივში, განიხილება ამორიზაციის პერიოდის და მეთიდოს მოდიფიკაციის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები. ამორტიზაციის ხარჯი არამატერიალურ აქტივებზე, რომელთაც აქვთ სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადები, გაცხადებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებში, რომელიც შეესაბამება არამატერიალური აქტივების ფუნქციას.
მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივის აღიარების შეწვეტიდან, იზომება როგორც სხვაობა წმინდა გამოყენებით შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და და აღიარებულია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.
არაფინანსური აქტივების გაუფასურება. არამატერიალური აქტივები რომელთაც აქვთ განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა ან არამატერიალური აქტივები, რომლებიც არ არის მზად გამოყენებისთვის, არ ექვემდებარება ამორტიზაციას და ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას, ფასდება, როცა მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მაღალი, ვიდრე აქტივის სამართლიანი ღირებულების განკარგვის ნაკლები ხარჯები და გამოყენებული ღირებულება. გაუფასურების შეფასებისთვის, აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეზე, რისთვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი სახსრები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების საწყისი სისუსტეები (გუდვილის გარდა), განხილება შესაძლო გამეორებისთვის, ყოველი საანგარიშო თარიღისას.
ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და სხვა მოკლევადიან მაღალ ლიკვიდურ ინვესტიციებს დაფარვის სამთვიანი ან ნაკლები თავდაპირველი ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გატარებულია ამორტიზებული ღირებულებით, რადგან:

(i) ტესტი, თუ ისინი გათვალისწინებული არ არიან ისეთ სახელშეკრულებო პირობებში, სადაც ეს მახასიათებელი გამოიყენება, მიუხედავად იმისა რომ კანონმდებლობის მიხედვით ისინი ინახება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვებისთვის და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ SPPI-ის; და

(ii) ისინი არ არიან დეზიგნირებული FVTLP-ზე. მხოლოდ კანონმდებლობით ნაკარნახევ მახასიათებლებს, როგორიც არის გირაოს კანონმდებლობა ზოგიერთ ქვეყანაში, არ აქვს გავლენა შესაბამისად შეცვლილ SPPI-ზე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია თავდაპირველად გარიგების ფასით. ისინი შემდგომ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურებისთვის ნაკლები რეზერვით.

სავაჭრო და სხვა გადასახადები. სავაჭრო გადასახადები დაირიცხება, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში გატარებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, წმინდა ტრანზაქციის ხარჯების დარიცხვით და შემდგომში გატარებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარა. სადაც ჯგუფი არის მოიჯარე საიჯარო ხელშეკრულებაში, რომელიც არსებითად არ გადასცემს საკუთრების ყველა რისკებსა და ჯილდოებს ჯგუფის მეიჯარეს, ყველა საიჯარო გადახდა აისახება წლის მოგებასა ან ზარალში, წრფივ საფუძველზე იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა არის არა–გაუქმებადი ვადა, რომელიც მოიჯარემ კონტრაქტით აიღო აქტივის იჯარით, სხვა პირობებთან ერთად, რომლითაც დამქირავებელს აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს აქტივის იჯარა, შემდგომი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის დასაწყისშივე დარწმუნებით ნათელია, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ ვარიანტს.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები. სადაც ჯგუფი არის მოიჯარე საიჯარო ხელშეკრულებაში, რომელიც ჯგუფს გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკებსა და ჯილდოებს, იჯარით გაცემული აქტივები კაპიტალიზირდება ქონებაში, საწარმოსა და აღჭურვილობებში, იჯარის დაწყებისას, იჯარით გაცემული აქტიცის დაბალი სამართლიანი ღირებულებით და მინიმალური საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულებით. თითოეული იჯარის გადახდა განაწილებულია პასუხისმგებლობასა და ფინანსურ გადასახადს შორის, რათა მივაღწიოთ ფინანსური ბალანსის მუდმივ განაკვეთს ყველა ბალანსზე. შესაბამისი საიჯარო ვალდებულებები, წმინდა სამომავლო ფინანსური გადასახადები შედის სესხებში. საპროცენტო ღირებულება დამატებულია მოგებაზე ან ზარალზე იჯარის პერიოდში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფინანსური იჯარით შეძენილი აქტივების გაუფასურება ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ხანმოკლე იჯარის ვადაში, თუ ჯგუფი არ არის გონივრულად დარწმუნებულია, რომ ის მფლობელობაში მიიღებს საკუთრებას იჯარის ვადის ბოლომდე.

მოგების გადასახადი. საშემოსავლო გადასახადი გათვალისწინებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლითაც კომპანიებმა (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ უნდა გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ სარგებელზე, იქამდე სანამ ეს მოგება არ განაწილება ან არ ჩაითვლება განაწილებულად, დივიდენდის სახით.

15% მოგების გადასახადი გადასახდელია მთლიან ღირებულებაზე (ანუ წმინდა დივიდენდები დაიბეგრება საგადასახადო 5%–ით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და გაიყოფა 0.85–ზე) ფიზიკურ ან არა რეზიდენტ იურიდილ პირებს შორის დივიდენდების გადახდის მომენტში. დივიდენდები, რომლებიც გადახდილია რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის მიღებული მოგებიდან, 2017 წლის 1 იანვრიდან, თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

დივიდენდები მოგებაზე, რომელიც დაგროვდა პერიოდში 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, ექვემდებარება მოგების გადასახადს მთლიანი ღირებულებით, რომელიც მცირდება შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც დათვლილია როგორც კორპორატიული მოგების გადასახადი, დეკლარირებული და გადახდილი დასაბეგრი მოგება–საერთო წმინდა მოგების წინააღმდეგ ერთიდაიგივე პერიოდში და მრავლდება გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაკისრებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

მოგების გადასახადი, რომელიც გამომდინარეობს დივიდენდების გადანაწილებისაგან, აღრიცხულია როგორც საშემოსავლო გადასახადის ხარჯი იმ პერიოდზე, რომელშიც გაცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომლის საფუძველზეც ხდება დივიდენდების გადახდა.

პირობითი საშემოსავლო საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდით, არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. გარდა დივიდენდების გადანაწილებისა, მოგების გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებისა და სხვა გადახდებისათვის, რომლის დარიცხვაც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, აქტივების უფასო მიწოდებას ან მომსახურების და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ უმაღლეს თანხას.

დივიდენდების გადანაწილების გარდა, საშემოსავლო ბეგარა მაინც გადაიხდება ისეთ ხარჯებზე ან სხვა გადასახადებზე, რომელთა დარიცხვა არ არის დაკაშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომელიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიერ დადგენილ მაქსიმალურ რაოდენობას. ყველა ავანსები, რომლებიც გადახდილია ისეთ იურისდიქციებში რეგისტრირებული პირებისათვის, რომელთაც აქვთ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი და სხვა გარკვეული ოპერაციები ასეთ კომპანიებთან, აგრეთვე გაცემული სესხები ასეთ პირებზე ან არარეზიდენტებზე, დაუყოვნებლივ ექვემდებარება დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, წმინდა მოგების კრედიტები ისეთ აქტივებზე ან მომსახურებაზე, რომლებიც მიღებულია ავანსების გადახდის სანაცვლოდ ისეთ კომპანიებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი რეჟიმის მქონდე იურისდიქციებში ან სესხების აღდგენა, რომლებიც გაცემულია პირებზე, ან არარეზიდენტებზე, ჩაწერილია გადასახადებში, გარდა საოპერაციო ხარჯებში გატარებული შემოსავლისა.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები ხელახლა ფასდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აისახება მოგების გადასახადი

პოზიციებისთვის, რომლებიც განისაზღვრება მენეჯმენტის მიერ, როგორც ნაკლებად სავარაუდო, რომ ისინი გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას თუ პოზიციებს დაუპირისპირდება საგადასახადო ორგანოები. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც უკვე მიღებული ან არსებითად მიღებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, და ნებისმიერ, ცნობილ სასამართლო ან სხვა ტიპის გადაწყვეტილებებზე მსგავს საკითხებთან დაკავშირებით. ვალდებულებები ჯარიმებზე, პროცენტზე და გადასახადებზე გარდა შემოსავლისა, აღიარებულია მენეჯმენტის მიერ ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო ხარჯის საუკეთესო შეფასებისთვის, საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ცვლილებები გაურკვეველი საშემოსავლო საგადასახადო პოზიციებში ჩაწერილია საშემოსავლო გადასახადში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. საბოლოო დამატებითი ღირებულების გადასახადი რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, ექვემდებარება გადახდას საგადასახადო ორგანოების მიმართ მომხმარებლისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებისთვის. დღგ ზოგადად ანაზღაურებადია საბოლოო დღგ–ს წინააღმდეგ, დღგ–ს ანგარიშფაქტურის მიღებისას.

საგადასახადო ორგანოები რთვავენ დღგ–ს დაფარვის ნებას ნეტოს საფუძველზე. გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებული და ასახული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტოს საფუძველზე. სადაც მიღებულ იქნა დებულება დებიტორული მოვალეობების გაუფასურებაზე, გაუფასურების ზარალი აღრიცხულია მოვალის მთლიან თანხაში, დღგ-ს ჩათვლით.

მარაგები. მარაგები გაცხადებულია ნაკლები ღირებულებით და ნაკლები სავარაუდო გასაყიდი ფასით. ღირებულება განისაზღვრება საშუალო მეთოდის გამოყენებით და მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რაც დაიხარჯა მათ ახლანდელ ადგილმდებარეობამდე და პირობებამდე მოსატანად.

თითოეული საანგარიშო თარიღისათვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი გასაყიდი ფასის ნაკლებ ხარჯამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში დაუყოვნებლივ.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება როგორც მოგება ან ზარალი, როდესაც წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება იქნება მიღებული. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე წლის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის გაცხადებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის აქციონერებით. ცვლილებები კომპანიის გაცხადებულ კაპიტალში უნდა მოხდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები არის აღრიცხული როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაცხადდა და დამტკიცდა. ნებისმიერი დივიდენდი, გაცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემისთვის ავტორიზებამდე, აისახება მომდევნო მოვლენების შენიშვნაში.

ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების რეზერვები. ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი ვადითა და ოდენობით. ისინი დარიცხულია როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, სავარაუდოა, რომ რესურსების გადინება, რომელიც შეადგენს ეკონომიკური სარგებელს, გახდება საჭირო ვალდებულების შესასრულებლად და ვალდებულების თანხის საიმედო ხარჯთაღრიცხვა მოხდება. დებულებები იზომება ვალდებულების შესასრულებლად ხარჯების დღევანდელი ღირებულებით, წინასწარი საგადასახადო კურსით, რომელიც ასახავს მიმდინარე საბაზრო შეფასებებს ფულის დროისმიერ ღირებულებასთან და სპეციფიკური ვალდებულების რისკებთან დაკავშირებით. რეზერვების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია როგორც საპროცენტო ხარჯი.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლების აღიარება. შემოსავალი არის მოგება, რომელიც გამომდინარეობს ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობიდან. შემოსავალი აღიარდება ტრანზაქციის ფასის თანხის ღირებულებით. ტრანზაქციის ფასი არის საკომპენსაციო თანხა, რომლის მიღებასაც ჯგუფი ელის მომხმარებლისთვის შეპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის გადაცემის სანაცვლოდ, გარდა თანხებისა, რომელიც შეგროვდება მესამე მხარეების სახელით.

შემოსავალი აღიარებულია ნეტო დისკონტებით, ბრუნვებით და დამატებული ღირებულების გადასახადით.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვები არის აღიარებული როდესაც საქონელზე კონტროლი არის გადაცემული, როდესაც საქონელს მიიღებს მომხმარებელი ან გადამზიდი, მომხმარებელს აქვს სრული განკარგვის უფლება საქონელზე და არ არსებობს რაიმე შეუსრულებელი ვალდებულება, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება როდესაც საქონელი გაიგზავნა მითითებულ ლოკაციაზე ან გადამზიდთან, დაძველებისა და ზარალის რისკები გადაეცა მომხმარებელს, და მომხმარებელმა ან მიიღო საქონელი ხელშეკრულების თანახმად, მიღების დებულებები დაკმაყოფილდა ან ჯგუფს აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი შესრულდა.

არ იგულისხმება ფინანსირების ელემენტის არსებობა, რადგანაც გაყიდვები ხორციელდება საკრედიტო პირობებით მაქსიმუმ 90 დღეზე, რაც შეესაბამება საბაზრო პრაქტიკას.

ვალდებულება აღიარდება როდესაც საქონელი დროის კონკრეტულ მონაკვეთში ჩაბარდება და კომპენსაცია არის უპირობო, რადგან საჭიროა გარკვეული დროის გასვლა იმისთვის რომ გადასახადი გადასახდელი გახდეს.

სახელშეკრულებო ვალდებულებები. მომხამრებლებისაგან მიღებული ავანსები ან ჯგუფის უპირობო უფლებები მომხმარებლების მიერ გადახდილ კომპენსაციაზე, იქამდე სანამ ჯგუფი მიაწოდებს საქონელს, აღიარებულია როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებები. სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება როდესაც გადახდილია ავანსი ან გადასახდელია გადასახადი (რომელიც დადგება უფრო ადრე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები არის ჯგუფის ვალდებულებები გადასცენ საქონელი მომხმარებლებს, რომელთაგანაც მათ მიიღეს კომპენსაცია (ან მათ უნდა გადაიხადონ კომპენსაცია(.
მნიშნელოვანი ცვლილებები სახელშეკრულებო ვალდებულებებში საანგარიშო პერიოდისთვის, განმარტებულია შენიშვნა 14–ში.

თანამშრომლების სარგებელი. გასამრჯელოები, ხელფასები, წლიური ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები ექვემდებარება დარიცხვას იმ წლის განმავლობაში, რომელშიც მოხდა ამმომსახურებების გაწევა ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, შექმნას პენსია ან მსგავსი სარგებელის გადასახადები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოცემის შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში გაცემის შემდეგ მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტის დამოწმებას, რომელმაც გასცა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გაცემის ავტორიზაცია.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების გატარებულ რაოდენობაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც ითვლება გონივრულად, არსებული ვითარების ფარგლებში. სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას მენეჯმენტი ასევე იღებს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, გარდა იმ გადაწყვეტილებებისა, რომლებიც შეიცავს ვარაუდებს. გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ვარაუდში, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო რაოდენობაში მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს:

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ქონების, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება არის გადაწყვეტილების საგანი, რომელიც დაფუძნებულია მსგავს აქტივებთან ურთიერთობის გამოცდილებაზე. სამომავლო ეკონომიკური სარგებელის ათვისება, რომელიც განსხეულებულია აქტივებში, ხდება პრინციპულად გამოყენების გზით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული ცვეთა და ამორტიზაცია, ხშირად იწვევს აქტივებში არსებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი აფასებს სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადას აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის შესაბამისად და სავარაუდო პერიოდით, რომლის განმავლობაშიც აქტივებმა შესაძლოა ჯგუფს მოუტანონ სარგებელი. განხილულია შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე და შენარჩუნების პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რაც გამოწვეულია საბაზრო პირობების ცვლილებით.

სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა 10%–ით განსხვავებული რომ ყოფილიყო მენეჯმენტის შეფასებისაგან, გავლენა ამორტიზაციაზე 2018 წლის 31 დეკემბრისთვის გაიზრდებოდა / შემცირდებოდა 712,433 ლარით (2017: 654,246 ლარი).

მოქმედი საწარმო. ჯგუფის ჯამური მიმდინარე ვალდებულებები აჭარბებდა მის მიმდინარე აქტივებს 86,338,908 ლარით (2017 წლის 31 დეკემბერი: 91,358,822). ჯამური მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს დაკავშირებულ მხარეთა სესხების თანხას, 128,284,206 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: 128,284,206). ჯგუფის ოპერაციები და ფინანსური ლიკვიდურობა დამოკიდებული იქნება მისი მფლობელის მუდმივ მხარდაჭერაზე. მენეჯმენტს სჯერა რომ ჯგუფს აქვს წვდომა ხანგრძლივი ფინანსირების შიდა და გარე წყაროებზე, რომელიც საკმარისი იქნება უახლოეს მომავალში მისი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად და ბიზნეს საქმიანობის შეფერხებების გარეშე გასაგრძელებლად. მენეჯმენტმა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში მოამზადა მოქმედი საწარმოს საფუძველზე, რომელიც განიხილავს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაკმაყოფილებას, ბიზნესის ჩვეულებრივ მიმდინარეობაში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების შემოსავლიანობა და წვდომა ფინანსურ რესურსებზე, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე.

ECL შეფასება. ECL შეფასება წარმოადგენს მნიშვნელოვან კალკულაციას, რომელიც მოიცავს განსაზღვრის მეთოდოლოგიას, მოდელებს და მონაცემებს. ECL შეფასების მეთოდოლოგიის დეტალები წარმოდგენილია შენიშვნა 30–ში. შემდეგ კომპონენტებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საკრედიტო დანაკარგის დაშვებაზე: დეფოლტის განსაზღვრება, SICR, ასევე მაკრო–ეკონომიკური სცენარების მოდელები. ჯგუფი პერიოდულად განიხილავს და ამტკიცებს მოდელებს და მოდელებში შენატანებს, რათა შეამციროს ნებისმიერ სხვაობა მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგსა და აქტუალურ საკრედიტო დანაკარგს შორის. ჯგუფმა გამოიყენა მხარდამჭერი პერსპექტიული ინფორმაცია ECL შეფასებისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მაკრო ეკონომიკური ფორკასტის მოდელის უპირველესი შედეგი. ყველაზე მნისვნელოვანი პერსპექტიული ვარაუდები, რომელიც კორელაციაშია ECL დონესთან და მათ ასიგნირებულ წონებთან, იყო შემდეგი 2018 წლის 31 დეკმებრისთვის:

		ასიგნირებული	ვარაუდი		
ცვალებადი	სცენარი	წონა	2019	2020	2021
უცხოური ვალუტის კურსი	საბაზისო	50 %	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
	აღმავალი	25 %	10 %	5 %	5 %
	დაღმავალი	25 %	– 15 %	– 10 %	5 %

ვარაუდები და ასიგნირებული წონა იყო შემდეგი 2018 წლის 1 იანვრისთვის:

		ასიგნირებული	ვარაუდი		
ცვალებადი	სცენარი	წონა	2019	2020	2021
უცხოური ვალუტის კურსი	საბაზისო	50 %	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
	აღმავალი	25 %	5 %	52%	უცვლელი
	დაღმავალი	25 %	– 10 %	– 5 %	5 %

4 კრიტიკული ბუღალტრული მოლოდინები, და სააღრიცხვო პოლიტიკის მიღების შეფასებები. (გაგრძელება)

ბიზნეს მოდელის შეფასება. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ბიზნეს მოდელის შეფასებისას მენეჯმენტი იღებს გადაწყვეტილებას ფინანსური ინსტრუმენტების აგრეგაციის დონისა და პორთფელების განსაზღვრის საფუძველზე. გაყიდვითი ტრანზაქციების შეფასებისას, ჯგუფი მხედველობაში იღებს მათ ისტორიულ სიხშირეს, ვადებს და ღირებულებას, გაყიდვის მიზეზებსა და სამომავლო გაყიდვების აქტივობის მოლოდინს. გაყიდვითი ტრანზაქციები, რომელთა მიზანს წარმოადგენს პოტენციური დანაკარგების მინიმიზაცია საკრედიტო გაუარესების გამო, მიიჩნევა „hold to collect" ბიზნეს მოდელთან (მოდელი, რომელშიც მიზანს წარმოადგენს ფინანსური აქტივების ქონა, რათა ფინანსური აქტივი მიიღოს) შეთავსებადად. სხვა გაყიდვებიც, სასარგებლო მოხმარების ვადის გასვლამდე, რომლებიც არაა დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვის საქმიანობასთან, "hold to collect" ბიზნეს მოდელთან თავსებადია, იმ პირობით, რომ ისინი წარმოადგენენ არახშირ, ან უმნიშვნელო ღირებულების მქონეს, როგორც ინდივიდუალურად ასევე ერთობლივად. გაყიდვით ტრანზაქციის მნიშვნელობას ჯგუფი აფასებს გაყიდვების ღირებულებისა და პორთფელის ღირებულების შედარებით, ეს უკანასკნელი დგინდება ბიზნეს მოდელის შესაბამისად პორთფელის საშუალო არსებობის პერიოდის მიხედვით. ამასთან, ფინანსური აქტივის გაყიდვა, რისი მოლოდინიც არსებობს მხოლოდ სტრესულ შემთხვევაში, ან იზოლირებული შემთხვევის საპასუხოდ რომელიც ჯგუფის კონტროლის ფარგლებს სცდება, არაა ხშირი და ჯგუფის მიერ წინასწარ განსაზღვრადი, ბიზნეს მოდელის მიზნებისთვის მიიჩნევა შემთხვევითად და ზემოხსენებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის მიზნებისთვის არ ახდენს გავლენას.

"hold to collect and sell" ბიზნეს მოდელი მოიაზრებს აქტივების ფლობას ფინანსური აქტივების ნაკადების მისაღებად, თუმცა გაყიდვაც წარმოადგენს არსებით ნაწილს ბიზნეს მოდელის მიზნის მისაღწევად, მიზნისთვის, როგორიცაა, ლიკვიდურობის საჭიროების მართვა, განსაზღვრული შემოსავლის მისაღებად, ან ფინანსური აქტივების ხანგრძლივობისა და ვალდებულებების, რომლებმაც აფინანსებენ ამ აქტივებს, ხანგრძლივობის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

ფასს 9-ზე გადასვლისას, ჯგუფმა მიიჩნია საკუთარი პორთფელი, ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით აქტივების ფლობის პორთფელად.

5. ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 9-ის („ფინანსური ინსტრუმენტები") მიღება. ჯგუფმა ფასს 9, „ფინანსური ინსტრუმენტები," მიიღო 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა აირჩია, ხელახლა არ განეცხადებინა შედარებითი ციფრები და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება სტანდარტის პირველად გამოყენების დღის, 2018 წლის 1 იანვრის, მდგომარეობით არსებულ საწყის გაუნაწილებელ მოგებაში აღიარა. შესაბამისად, ფასს 7-ის („ფინანსური ინსტრუმენტები: გამჟღავნება") გადამუშავებული მოთხოვნები მხოლოდ მიმდინარე პერიოდზე ვრცელდება. შედარებითი პერიოდის გამჟღავნებად ინფორმაციაში გამეორებულია წინა წელს გამჟღავნებული ინფორმაცია.

მიმდინარე პერიოდზე მისადაგებული მნიშვნელოვანი ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა მე-4 შენიშვნაშია აღწერილი. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შედარებით ინფორმაციას მიესადაგება, წარმოდგენილია 36-ე შენიშვნაში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ათანხმებს ფინანსური აქტივების თითოეული კლასის საბალანსო ღირებულებებს, როგორც ადრე შეაფასა ბასს 39-ით, და 2018 წლის 1 იანვარს მიღებული ფასს 9-ით დადგენილ ახალ თანხებს.

	შეფასების კატეგორია		მიმდინარე ღირებულება IAS 39 თანახმ.	IFRS 9 –ის მიღებისს შედეგები	მიმდინარე ღირებულება IFRS 9 თანახმ.
	IAS 39	IFRS 9	31 დეკ. 2017	ხელახალი შეფასება	1 იანვარი, 2018 წ
ფული და ფულადი ექვივალენტები	L & R	AC	1,177,500	-	1,177,500
სავაჭრო დავალიანება	L & R	AC	10,616,948	(952,869)	9,664,079
სხვა ფინანსური აქტივების ჯამი			11,794,448	(952,869)	10,841,579
სესხები		AC	165,959,220	(1,537,107)	164,422,113
სხვა ფინანსური ვალდებულებების ჯამი			165,959,220	(1,537,107)	164,422,113

ფასს 15, "შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან" - მიღება

ჯგუფმა აირჩია ფასს 15–ზე გამარტივებული გადასვლის პრაქტიკული საშუალება, რომელიც ხელმისაწვდომია გამარტივებული გარდამავალი მეთოდისთვის. ფასს 15–ის მიღებამ გამოიწვია სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები. 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე ადგილი არ ჰქონია ფასს 15–ის მიღების მატერიალური გადასვლის შედეგებს.

5 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

წინამდებარე შესწორებული სტანდარტები ჯგუფისათვის ძალაში შევიდნენ 2018 წლის 1-ელ იანვარს, თუმცა არ მოუხდენიათ ჯგუფზე არსებითი გავლენა:

- ცვლილებები ფასს 2-ში, „აქციებზე დაფუძნებული გადახდა" (გამოქვეყნდა 2016 წლის 20 ივნისს და ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ცვლილებები ფასს 4-ში, „ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - სტანდარტის გამოყენება ფასს 4 - სადაზღვევო ხელშეკრულებები - სტანდარტთან ერთად" (გამოქვეყნდა 2016 წლის 12 სექტემბერს და ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც დროებითი გათავისუფლების მიდგომას ირჩევენ, ან როდესაც ორგანიზაცია პირველად იყენებს ფასს 9 სტანდარტს, იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც გადაფარვის მიდგომას ირჩევენ);
- ფასს 2014-2016 წლების ციკლის ყოველწლიური სრულყოფა - ცვლილებები ფასს 1-ში და ბასს 28-ში (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ფასიკ 22, „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად" (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);

- ცვლილებები ბასს 40-ში, „საინვესტიციო ქონების გადაცემა“ (გამოქვეყნდა 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

6 სიახლეები ბუღალტრულ აღრიცხვაში

გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც ჯგუფს ჯერ არ მიუღია.

ინვესტორსა და მის ასოცირებულ კომპანიას ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კაპიტალის დაბანდება - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც განისაზღვრება ბასს–ის საფუძველზე.). მოცემული შესწორებები ეხება ფასს 10-სა და ბასს 28-ს შორის შეუსაბამობებს აქტივების გაყიდვასა ან საკუთარ კაპიტალთან შეტანასთან დაკავშირებით ინვესტორისა და მის მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში. შესწორებების მთავარ შედეგს წარმოადგენს ის, რომ სრული მოგების ან წაგების აღიარება ხდება, როდესაც ტრანზაქცია ეხება საქმიანობას. ნაწილობრივი მოგების ან წაგების აღიარება ხდება, როდესაც ტრანზაქცია მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ არიან საქმიანობის წარმოებისთვის აუცილებელი აქტივები, მაშინაც კი, როდესაც ეს აქტივები არის შვილობილი კომპანიის მფლობელობაში. ჯგუფი არ ელის, რომ ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16, „ლიზინგი“ (გამოქვეყნდა 2016 წლის 13 იანვარს და ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტი ადგენს ლიზინგის აღიარების, შეფასების, პრეზენტაციის და გამოქვეყნების პრინციპებს. ყველა იჯარა დასაწყისში მოითხოვს მოიჯარისგან აქტივის გამოყენების უფლების მოპოვებას და, თუ საიჯარო გადასახადის გადახდა ხდება ხანგრძლივი პერიოდით, აგრეთვე დაფინანსების მიღებასაც. შესაბამისად, ფასს 16 გამორიცხავს იჯარის კლასიფიკაციას როგორც საოპერაციო იჯარას ან ფინანსურ იჯარას, ბასს 17-ის პროკრედიტ ჯგუფი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2018 წლის 31 დეკემბერი 49 შესაბამისად, და ამის ნაცვლად, ადგენს მოიჯარის ერთიანი აღრიცხვის მოდელს. მოიჯარემ უნდა აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები თითოეულ იჯარაზე, რომლის ვადა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქტივები დაბალი ღირებულების არის; და (ბ) საიჯარო აქტივების ამორტიზაციას, საიჯარო ვალდებულებების შემოსავლისგან განცალკევებით, საშემოსავლო დეკლარაციაში. ფასს 16 არსებითად ავითარებს მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნებს ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას როგორც საოპერაციო იჯარას ან ფინანსურ იჯარას (ლიზინგს) და იჯარის ამ ორ ტიპს განსხვავებულად აღრიცხავს.

ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ სავალდებულო თარიღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან, სტანდარტს მოდიფიცირებული რესტროსპექტული მეთოდით გამოიყენებს, შედარებადი ინფორმაციის ხელახლა გაცხადების გარეშე. იჯარით გაცემული ქონების გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი ფასდება გადაცემისას, თითქოს ახალი წესები ყოველთვის არსებობდა და მოქმედებდა. ყველა სხვა გამოყენების უფლებით არსებული აქტივი ფასდება ქირავნობის საფასურით საქონლის გადაცემისას. (ეხება ყველა წინასწარ გადახდილ ან დაგროვებულ დანახარჯს). ჯგუფი ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 ახალი სააღრიცხვო დებულებები (გაგრძელება)

ფასს 17 „სადაზღვევო შეთანხმებები“ *(გაცემული 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2021 წლის იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).* ფასს 17 ანაცვლებს ფასს 4–ს, რომელმაც კომპანიები გაათავისუფლა სადაზღვევო შეთანხმებებზე აღრიცხვის განხორციელებისგან, არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებისთვის რთული იყო შეედარებინატ და გამოერჩიათ სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შესრულება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებების ყველა ტიპის აღირცხვისთვის, მათ შორის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებები, რომელსაც ფლობს დამზღვევი. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების შეფასებას და აღიარებას:

(i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკზე მორგებული მიმდინარე ღირებულება (შესრულებული ფულადი ნაკადები) რომელიც აერთიანებს ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას შესრულებულ ფულად ნაკადებზე ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს ხილულ საბაზრო ინფორმაციას; დამატებული (თუ ეს ღირებულება არის ვალდებულება) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება არის აქტივი)

(ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუსავებელ მოგებას ხელშეკრულებების ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების ზღვარი). დამზღვევები აღიარებენ სარგებელს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან, პერიოდზე, რომლის დაზღვევასაც ისინი განახორციელებენ, და როდესაც ისინი თავისუფლდებიან რისკისაგან. თუ ხელშეკრულებათა ჯგუფი არის ან გახდება ზარალის მომტანი, ერთეული მაშინვე აღიარებს დანაკარგს. ჯგუფი არ ელის ახალი სტანდარტის რაიმე ზეგავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 23 „გაურკვევლობა საშემოსავლო გადასახადის ურთიერთობებში“; (გამოცემული 2017 წლის 7 ივნისს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს დაწყებულ წლიურ პერიოდებთან). ბასს 12 განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადები მაგრამ არ განსაზღვრავს თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობა. ინტერპრეტაცია განმარტავს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს აღიარება და მოთხოვნები ბასს 12-ში, როდესაც არსებობს გაურკვევლობა საშემოსავლო გადასახადებთან დაკავშირებით. პირმა უნდა დაადგინოს, განიხილოს თუ არა თითოეული გაურკვეველი საგადასახადო ურთიერთობა ცალკე ან ერთ ან მეტ სხვა გაურკვეველ საგადასახადო ურთიერთობასთან ერთად, რომლის საფუძველზეც მიდგომა უკეთესი პროგნოზით აგვარებს გაურკვევლობას. პირმა უნდა ივარაუდოს რომ საგადასახადო ორგანოს, რომელიც შეისწავლის თანხებს, აქვს უფლება, შეამოწმოს და ჰქონდეს სრული ცოდნა ყველა დაკავშირებულ ინფორმაციასთან დააკვშირებით, მათ შემოწმებისას. თუ პირი ასკვნის, რომ არ არსებობს იმის ალბათობა, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გაურკვეველი საგადასახადო ურთიერთობას, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო შეღავათებისა და საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრისას, ყველაზე სავარაუდო თანხას ან მოსალოდნელ ღირებულებას, იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო უკეთ მოახდენს გაურკვევლობის მოგვარების პროგნოზირებას.

პირი ასახავს ცვლილების ეფექტს ფაქტებსა და გარემოებებში ან ახალი ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილებეზე ან შეფასებებზე, რომლებიც მოთხოვნილია ინტერპრეტაციის მიერ, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება. ცვლილებების მაგალითები ფაქტებსა და გარემოებებში და ახალი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადაწყვეტილების ან შეფასების ხელახალი გადახედვა,

მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, განხილვებით ან ქმედებებით საგადასახადო ორგანოს მხრიდან, წესების ცვლილებებით რომელიც დადგენილია საგადასახადო ორგანოს მიერ, ან საგადასახადო ორგანოს უფლების ვადის გასვლა, შეამოწმოს ან ხელახლა შეამოწმოს საგადასახადო ურთიერთობა. შეთანხმების არარსებობის ან უთანხმოების შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო ურთიერთობაზე, ცალკე ნაკლებად სავარაუდოა, რომ წარმოდგინდეს ცვლილება ფაქტებში და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციაში, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციის მიერ მოთხოვნილ გადაწყვეტილებებზე და შეფასებებზე. ჯგუფი არ ელის ახალი სტანდარტის რაიმე ზეგავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

წინასწარ გადახდის თავისებურებები უარყოფითი ანაზღაურებით - ცვლილებები ფასს 9–ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ).

ცვლილებები საშუალებას იძლევა მოხდეს იმ გარკვეული სესხებისა და ფასიანი ქაღალდების შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით, რომელთა წინასწარ გადახდა შესაძლებელია ამორტიზებული ღირებულებაზე დაბალ თანხით, მაგალითად, რეალური ღირებულებით ან იმ თანხით, რომელიც მოიცავს მსესხებელსთვის გადასახდელ გონივრულ ანაზღაურებას, რაც უტოლდება საბაზრო სარპცენტო განაკვეთის ზრდის მიმდინარე ღირებულებას, ინსტრუმენტის სარგებლიანობის ვადის პერიოდზე. ეფექტის დღევანდელი ღირებულებით. საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდა ინსტრუმენტის დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში. გარდა ამისა, სტანდარტის საფუძვლის დამატებული ტექსტი ასახავს ფასს 9 – ში არსებულ სახელმძღვანელო მითითებას, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული გარკვეული ფინანსური ვალდებულებების შეცვლა ან გაცვლა, რომლებიც არ იწვევს აღიარების გაუქმებას, უნდა აისახოს მოგებაში ან ზარალში. შესაბამისად, ანგარიშის წარმდგენ პირებს უმეტეს შემთხვევაში არ შეეძლებათ გადააფასონ სესხის დარჩენილი სარგებლიანობის პერიოდისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რათა თავიდან აიცილონ გავლენა მოგებაზე ან ზარალზე სესხის ცვლილებისას. ჯგუფი არ ელის, რომ ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გრძელვადიანი ინტერესები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში - ცვლილებები ბასს 28–ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებებში განმარტებულია, რომ ანგარიშის წარმდგენმა საწარმოებმა უნდა გამოიყენონ ფასს 9, გრძელვადიანი სესხებისთვის, პრეფერენციული აქციების და მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც წარმოადგენს კაპიტალის წმინდა ინვესტიციის ნაწილს მანამ, სანამ მათ შეეძლებათ შეამცირონ ასეთი საბალანსო ღირებულება ინვესტორის ზარალის იმ წილით, რომელიც აღემატება ჩვეულებრივი აქციების მიხედვით განსაზღვრულ ინვესტორის ინტერესს. ჯგუფი არ ელის, რომ ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 ახალი სააღრიცხვო დებულებები (გაგრძელება)

ფასს-ის 2015-2017 წლის ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესებები - ფასს 3-ის შესწორებები, fass 11, ბასს 12 და ბასს 23 (გამოცემული 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაშია წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1-ელ იანვარს, ან 1-ლი იანვრიდან). ვიწრო მასშტაბის შესწორებები გავლენას ახდენენ 4 სტანდარტზე. ფასს 3 ნათლად განსაზღვრავს, რომ შემძენმა, როდესაც იგი იძენს კონტროლს ბიზნესზე, უნდა ხელახლა

შეაფასოს მის საკუთრებაში მანამდე არსებული წილი საერთო ოპერაციაში. მოცემულის საწინააღმდეგოდ, ფასს 11 ახლა მკაფიოდ განმარტავს, რომ ინვესტორმა საკუთარი წილი არ უნდა შეაფასოს ხელახლა, როდესაც იგი ერთობლივ ოპერაციაზე იძენს ერთობლივ მმართველობას, ისევე როგორც, არსებული მოთხოვნების შესაბამისად, ასოცირებული პარტნიორი კომპანია ხდება ერთობლივი საწარმო ან პირიქით. შესწორებული ბასს 12 განმარტავს, რომ პირი ცნობს დივიდენდების საფუძველზე ყველა საშემოსავლო გადასახადს, თუკი იგი აღიარებს ტრანზაქციებს ან ოპერაციებს, რომელმაც გამოიწვია დაკავშირებული განაწილებადი მოგება, მაგალითად, მოგებაში, ზარალში, ან ერთობლივ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ მოცემული მოთხოვნა ეხება ყველა შემთხვევას მანამ, სანამ ფინანსურ ინსტრუმენტებში გადასახადები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც სუფთა წილი წარმოადგენს მოგების განაწილებას, და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საგადასახადო შედეგები წარმოადგენენ განაწილებული და გაუნაწილებელი მოგებისათვის განსხვავებული საგადასახადო განაკვეთის შედეგს. შესწორებული ბასს 23 ახლა შეიცავს მკაფიო მითითებას, რომ კონკრეტული აქტივის დაფინანსებისათვის მოპოვებული სესხები გამოირიცხება კაპიტალიზაციისთვის დაშვებული ზოგადი სესხების სიიდან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, სანამ კონკრეტული აქტივი არ იქნება ნამდვილად დასრულებული. ჯგუფს არ აქვს მოლოდინი, რომ საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშზე რაიმე სახის გავლენა ექნება ახალ სტანდარტს.

ბასს 19-ის შესწორებები „გეგმის შესწორება, შემცირება ან ხელახალი რეგულირება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს და ძალაშია წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1-ელ იანვარს ან 1-ლი იანვრიდან). შესწორებები განსაზღვრავენ თუ როგორ დადგინდეს საპენსიო დანახარჯები, როდესაც განსაზღვრული საპენსიო სარგებლის გეგმა იცვლება. გეგმაში ცვლილების არსებობის შემთხვევაში - შესწორების, შემცირების ან ხელახალი რეგულირების დროს გამოიყენება. ბასს 19 მოითხოვს, რომ ხელახლა იქნას განსაზღვრული სუფთა წმინდა ვალდებულება ან აქტივი. ცვლილებების თანახმად, ხელახალი განსაზღვრის შედეგად მიღებული ვარაუდები უნდა იქნას გამოყენებული მიმდინარე მომსახურების ღირებულებისა და საანგარიშო პერიოდისათვის დარჩენილი პროცენტის განსასაზღვრად გეგმის ცვლილების შემდეგ. შესწორებამდე, ბასს 19 არ განსაზღვრავდა გეგმის ცვლილების შემდეგ მოცემული ხარჯების განსაზღვრის გზას. განახლებული ვარაუდების გამოყენების მოთხოვნით, სავარაუდოა, რომ შესწორება უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგებების გამომყენებელი პირებისათვის სასარგებლო ინფორმაციას. ჯგუფს არ აქვს მოლოდინი, რომ საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშზე რაიმე სახის გავლენა ექნება ახალ სტანდარტს.

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოში შეტანილი შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისათვის რომლებიც იწყება 2020 წლის 1-ელ იანვარს, ან 1-ლი იანვრიდან). შეცვლილი კონცეპტუალური ჩარჩო მოიცავს ახალ თავს შეფასების, ფინანსური შედეგების მაჩვენებელი ანგარიშგების შესახებ მითითებას; გაუმჯობესებულ განსაზღვრებებს და მითითებებს - კერძოდ, პასუხისმგებლობის განსაზღვრებასა; და ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში განმარტებებს, როგორიცაა მმართველობითი თანამდებობის როლები, წინდახედულობა და ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები.

ბიზნესის განსაზღვრება - ფასს 3-ის შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომებრს და ძალაშია წლიური საანგარიშო პერიოდიდან, რომელიც იწყება 2020 წლის 1-ელ იანვარს, ან 1-ლი იანვრიდან). შესწორებებით ხდება ბიზნესის განმარტების გადახედვა. ბიზნესს უნდა ქონდეს შენატანები და არსებითი პროცესები, რომლებიც ერთობლივად მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გამომუშავების შესაძლებლობას. ახალი მითითება წარმოადგენს მოქმედების ჩარჩოს, თუ როგორ შეფასდეს სიტუაცია, სადაც არსებობს

შენატანი და არსებითი პროცესები, მათ შორის კომპანიების საწყის ეტაპზე, როდესაც არ არსებობს გამომუშავება, ორგანიზებული სამუშაო ძალის საჭიროებაა სახეზე, რათა მოხდეს ბიზნესად კლასიფიცირება, თუკი გამომუშავება არ არსებობს. ტერმინი „გამომუშავების“ განსაზღვრება შევიწროებულია, და ფოკუსს ახდენს პროდუქციასა და სერვისზე რომელიც მიეწოდება მომხმარებელს, რითაც ხდება საინვესტიციო და სხვა შემოსავლის მიღება, ეს გამორიცხავს უფრო დაბალი ღირებულებით დაბრუნებას და სხვა ეკონომიკურ სარგებელს. აგრეთვე აღარ არსებობს საჭიროება, შეფასდეს, თუ რამდენად შეუძლიათ ბაზრის მონაწილეებს ელემენტების ჩანაცვლება, რომლებიც არ გააჩნიათ, ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. პირს შეუძლია გამოიყენოს „კონცენტრაციის ტესტი“. შეძენილი აქტივები არ წარმოადგენენ ბიზნესს, თუ პრაქტიკულად შეძენილი გროსი აქტივების ღირებულების უდიდესი ნაწილი კონცენტრირებულია ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების დაჯგუფებაში). შესწორებები პერსპექტიულია და ჯგუფი მიიღებს მათ და შეაფასებს მათ შედეგს 2020 წლის 1 იანვრიდან.

არსებითობის განსაზღვრება - ბასს 1 და ბასს 8-ის შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაში შედის პერიოდული აღრიცხვისათვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1-ელ იანვარს, ან 1-ლი იანვრიდან.) შესწორებები განსაზღვრავს არსებითობას და როგორ უნდა იქნას იგი მითითებაში დამკვიდრებული, რომელიც დღემდე გამოყენებულია ფასს-შიც. ამასთან, განსაზღვრებასთან ერთად არსებული განმარტებები გაუმჯობესებულია. საბოლოოდ, შესწორებები უზრუნველყოფენ, რომ არსებითობის განსაზღვრება შესაბამისობაშია ფასს-ის ყველა სტანდარტთან. ინფორმაცია არსებითია, თუკი მან მისი გამორიცხვით, არასწორად გაგებით ან უზუსტობით შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომელსაც იღებენ ზოგადი დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე უშუალოდ მომუშავე პირები ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე, რომლებიც ასახავენ კონკრეტულ საანგარიშო სუბიექტის შესახებ ფინანსურ ინფორმაციას. ამჟამად ჯგუფი აფასებს შესწორებების გავლენას საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არის მოლოდინი, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7 ბალანსები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ზოგადად განიხილება დაკავშირებულად, როდესაც ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ რომელიმე მხარეს აქვს ძალაუფლება მართოს მეორე მხარე ან განახორციელებს მნიშვნელოვან გავლენას ან კონტროლს მეორე მხარეზე, ერთობლივი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეულ, შესაძლო, მხარეთა შორის ურთიერთობების განხილვისას, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

ცალკეული ბალანსები მოკავშირე მხარეებთან იყო შემდეგი:

	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სესხები (შენიშვნა 13)	მშობელი კომპანია	15,597,372	16,251,331
სესხები (შენიშვნა 13)	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	49,551,648	51,075,052
გადასახდელი პროცენტი	მშობელი კომპანია	4,141,986	3,309,297
გადასახდელი პროცენტი	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	68,331,634	57,676,251

ტრანზაქციები, შემოსავლისა და ხარჯის საგნები დაკავშირებულ მხარეებთან, არის შემდეგი:

	ურთიერთობა	2018	2017
საპროცენტო ხარჯი (შენიშვნა 13)	მშობელი კომპანია	714,445	764,807
საპროცენტო ხარჯი (შენიშვნა 13)	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	9,807,308	10,289,114

ტოპ-მენეჯმენტის კომპენსაცია. ტოპ–მენეჯმენტი გულისხმობს გენერალურ დირექტორს, გენერალური დირექტორის მოადგილეს, კომერციულ დირექტორსა და ეკონომიკური უსაფრთხოების დირექტორს. აღმასრულებელ მენეჯმენტში სრულ განაკვეთზე ტოპ მენეჯმენტისთვის გადახდილი კომპენსაცია შედგება საბაზისო ხელფასისგან, ბონუსისა და სხვა შეღავათებისაგან. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში მენეჯმენტის კომპენსაციამ შეადგინა 1,091,491 ლარი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2017: 904,900 ლარი). 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ხელფასისა და სარგებლის გადასახდელი ვალდებულება იყო 250,401 ლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: 260,831 ლარი).

8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებებების ("PP&E") და არამატერიალური აქტივების საბალანსო თანხის მოძრაობები იყო შემდეგი

	მიწა და შენობები	დანადგარები და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისი და სხვა ხელსაწყოები	დაუმთავრებელი მშენებლობა CIP * და დაუმონტაჟებელი ხელსაწყოები	სხვა	ძირითადი საშუალებების ჯამი	ლიცენზიები	კომპიუტერული პროგრამები	არამატერიალური აქტივების ჯამი
ღირებულება	20,833,687	42,972,377	5,790,134	2,062,405	4,449,333	991,641	77,099,577	2,429,337	283,350	2,712,687
აკუმულირებული ცვეთა / ამორტიზაცია	(6,462,129)	(13,955,223)	(3,937,737)	(1,443,243)	–	(581,621)	(26,379,953)	(757,832)	(80,008)	(837,840)
საბალანსო თანხა 2017 წლის 1 იანვარს	**14,371,558**	**29,017,154**	**1,852,397**	**619,162**	**4,449,333**	**410,020**	**50,719,624**	**1,671,505**	**203,342**	**1,874,847**
შესყიდვები	213,677	3,040,371	534,978	119,751	590,582	138,291	4,637,650	–	9,750	9,750
ჩამოწერა	(326,985)	(16,244)	(126,519)	–	(3,053,397)	(267)	(3,523,412)	–	–	–
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯები	(1,181,624)	(4,436,583)	(548,540)	(226,153)	–	(149,561)	(6,542,461)	(142,948)	(47,358)	(190,306)
აღმოფხვრილი ჩამოწერისას	6,309	16,848	77,847	–	–	–	101,004	–	–	–
საბალანსო თანხა 2017 წლის 31 დეკემბერს	**13,082,935**	**27,621,546**	**1,790,163**	**512,760**	**1,986,518**	**398,483**	**45,392,405**	**1,528,557**	**165,734**	**1,694,291**
ღირებულება	20,720,379	45,996,504	6,198,593	2,182,156	1,986,518	1,129,665	78,213,815	2,429,337	293,100	2,722,437
აკუმულირებული ცვეთა / ამორტიზაცია	(7,637,444)	(18,374,958)	(4,408,430)	(1,669,396)	–	(731,182)	(32,821,410)	(900,780)	(127,366)	(1,028,146)
საბალანსო თანხა 2017 წლის 31 დეკემბერს	**13,082,935**	**27,621,546**	**1,790,163**	**512,760**	**1,986,518**	**398,483**	**45,392,405**	**1,528,557**	**165,734**	**1,694,291**
შესყიდვები	845,594	5,196,023	1,022,092	45,354	8,847,200	201,229	16,157,492	–	62,594	62,594
ტრანსფერები	106,505	6,077,393	–	19,346	6,203,244	–	–	–	–	–
ჩამოწერა	(1,090,783)	(680,767)	(7,091)	(172,460)	(1,903,753)	(30,303)	(3,824,551)	–	–	–
შვილობილი კომპანიის რეალიზაცია	(398,760)	–	–	–	–	–	398,760	–	–	–
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(1,149,297)	(4,918,490)	(672,507)	(202,694)	–	(181,441)	(7,124,429)	(142,948)	(47,743)	(190,691)
აღმოფხვრილი ჩამოწერისას	356,510	296,120	7,091	165,563	–	3,106	828,390	–	–	–
საბალანსო თანხა 2018 წლის 31 დეკემბერს	**11,752,704**	**33,591,825**	**2,139,748**	**–**	**2,726,721**	**451,680**	**51,030,547**	**1,385,609**	**180,585**	**1,566,194**
ღირებულება	20,182,935	56,589,153	7,213,594	367,869	2,726,721	1,361,197	90,147,996	2,429,337	355,694	2,785,031
აკუმულირებული ცვეთა / ამორტიზაცია	(8,430,231)	(22,997,328)	(5,073,846)	(2,074,396)	–	(909,517)	(39,117,449)	(1,043,728)	(175,109)	(1,218,837)
საბალანსო თანხა 2018 წლის 31 დეკემბერს	**11,752,704**	**33,591,825**	**2,139,748**	**1,706,527**	**2,726,721**	**451,680**	**51,030,547**	**1,385,609**	**180,585**	**1,566,194**

CIP * დაუმთავრებელი მშენებლობა

8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ლიცენზიები მოიცავს საქართველოს ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2011 წლის 29 დეკემბერს გაცემულ კირქვის მოპოვების ლიცენზიას, რომლის სასიცოცხლო ვადა არის 15 წელი.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან მოგება 570,150 ლარი (2017: 954,457 ლარი) არის აღრიცხული „სხვა საოპერაციო შემოსავალში“.

დაგირავებული ქონების შესახებ დეტალებზე იხილეთ შენიშვნა 21.

9 სავაჭრო და სხვა დავალიანებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო დავალიანება	14,638,473	13,218,275
მინუს გაუფასურების დანაკარგის რეზერვი	(4,041,850)	(2,601,327)
სავაჭრო დავალიანება ჯამში, ნეტო	**10,596,623**	**10,616,948**
წინასწარი გადახდები	7,279,306	9,132,784
სხვა დავალიანებები	60,850	39,362
სავაჭრო და სხვა დავალიანებების ჯამი	**17,936,779**	**19,789,094**

1,457 ათასი ლარის (2017 წლის 31 დეკემბერი: 894 ათასი) სავაჭრო ვალდებულების გაუფასურების დანაკარგის რეზერვი დენომინირებულია აშშ დოლარში.

ჯგუფი იყენებს IFRS 9 გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებისთვის, რომელიც იყენებს მუდმივ მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგის დაშვებას ყველა სავაჭრო და სხვა ვალდებულებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებისთვის, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დაჯგუფდა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილების დღეების საფუძველზე.

საკრედიტო დანაკარგის დაშვება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისთვის განსაზღვრულია უზრუნველყოფის მატრიცაში, რომელიც წასმოდგენილია ქვემოთ ცხრილში. უზრუნველყოფის მატრიცა ეფუძვნება ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას, რომელიც მორგებულია პერსპექტიული ინფრომაციის აღწერას.

მთლიანი ღირებულების %–ში	დანაკარგის თანაფართობა	მთლიანი მიმდინარე თანხა	მუდმივი ECL
სავაჭრო ვალდებულებები			
– მიმდინარე	1.4 %	6,920,931	98,155
– 30 დღეზე ნაკლები დაგვიანება	3.8 %	2,275,087	85,770
– 30 დან 90 დღემდე დაგვიანება	10.7 %	1,249,158	133,611
– 91 დან 180 დღემდე დაგვიანება	28.5 %	295,473	84,067
– 181 დან 360 დღემდე დაგვიანება	39.7 %	427,567	169,650
– 360 დღეზე მეტი დაგვიანება	100 %	3,470,257	3,470,597
სავაჭრო ვალდებულებების ჯამი (მთლიანი მიმდინარე თანხა)	–	14,638,473	–
საკრედიტო დანაკარგის კომპენსაცია	–	–	4,041,850
სავაჭრო ვალდებულებების ჯამი კლიენტებთან შეთანხმებებიდან (მიმდინარე რაოდენობა)	–	10,596,623	–

9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

შემდეგი ცხრილი განმარტავს ცვლილებებს საკრედიტო დანაკარგის დაშვებაში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისთვის, გამარტივებული ECL მოდელის თანახმად, წლის დასაწყისსა და დასასრულს შორის:

	ინდივიდუალური პირები	მოვაჭრეები	კომპანია	ჯამი
სავაჭრო ვალდებულებები				
ბალანსი 2018 წლის 1 იანვრისთვის	85,134	367,778	3,072,308	3,525,220
ახლად წარმოშობილი ან შეძენილი	19,219	113,038	384,373	516,630
საკრედიტო დანაკარგის კომპენსაციის ჯამი მოგებასა ან დანაკარგში, პერიოდისთვის	19,219	113,038	384,373	516,630
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერს	104,353	480,816	3,456,681	4,041,850

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისთვის 2017 წლის პერიდოისთვის იყო შემდეგი:

	2017
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრისთვის	**1,918,370**
გაუფასურების რეზერვი წლის განმავლობაში	682,957
თანხები, რომლებიც ჩამოწერილია როგორც უიმედო	–
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრისთვის	**2,601,327**

ანალიზი სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საკრედიტო ხარისხით 2017 წლის 31 დეკემბრისთვის:

	31 დეკემბერი 2017
არც დაგვიანებული, არც გაუფასურებული	
-საქართველო	5,383,516
-დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა	830,928
-ევროკავშირი	–
-სხვა	385,734
არც დაგვიანებული, არც გაუფასურებული,ჯამში	**6,600,178**
დაგვიანებული მაგრამ არა გაუფასურებული	
- 60 დღეზე ნაკლები დაგვიანება	–
– 60 დან 120 დღემდე დაგვიანება	1,855,692
-120 დან 360 დღემდე დაგვიანება	1,535,914
- 360 დღეზე მეტი დაგვიანება	625,164
დაგვიანებული მაგრამ არა გაუფასურებული, ჯამში	**4,016,770**
დაგვიანებული და გაუფასურებული	
- 60 დღეზე ნაკლები დაგვიანება	80,187
– 60 დან 120 დღემდე დაგვიანება	189,817
-120 დან 360 დღემდე დაგვიანება	490,597
- 360 დღეზე მეტი დაგვიანება	1,840,726

დაგვიანებული და გაუფასურებული, ჯამში	**2,601,327**
მინუს გაუფასურების რეზერვი	(2,601,327)
სავაჭრო და სხვა დავალიანებების ჯამი, ნეტო	**10,616,948**

10 მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მზა პროდუქცია	27,198,448	22,076,198
ნედლეული და სახარჯი მასალები	25,792,397	13,283,401
სათადარიგო ნაწილები და სხვა მარაგები	18,433,028	14,644,406
დაუსრულებელი წარმოება	5,628,809	2,716,616
სულ მარაგები ჯამში	**77,052,682**	**52,720,621**

ჯგუფი ფლობს ე.წ. წიდასაყარს, რომელიც ათწლეულების განმავლობაში გამოყენებოდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წარმოების ნარჩენების განსათავსებლად. წარმოების ნარჩენები - წიდა შეიცავდა რკინის და შოთისებრი თუჯის მნიშვნელოვან დონეს, რაც წლების განმავლობაში ნარჩენად ითვლებოდა. დღესდღეობით, ტექნოლოგიების გაუმჯობესების შემდეგ, ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა ხელახლა გადაამუშაოს წიდა და მოიპოვოს ფოლადის ჯართი შემდგომი დნობისთვის - რაც ნიშნავს წარმოების დაბალ ფასს. წიდასაყარი მდებარეობს განცალკევებით, საწარმოო ობიექტებიდან 10 კილომეტრის დაშორებით და 110 ჰექტარზეა განთავსებული. ობიექტში დაახლოებით 120 თანამშრომელია დასაქმებული. წიდასაყარი შეიცავს სამი სახეობის წიდას: დაუმუშავებელი მარტენის ღუმელის წიდა, დაუმუშავებელი დომენის ღუმელის წიდა და დამუშავებული წიდა, რომელიც არ შეიცავს რაიმე ფოლადის კონცენტრაციას.
ჯგუფის წიდის მოცულობა განისაზღვრება დამოუკიდებელი ექსპერტების ანგარიშების საფუძველზე, რომელთაც გააჩნიათ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია. 2017 წლის ნოემბერში ჩატარებული შეფასების შედეგების მიხედვით, დაუმუშავებელი წიდის მოცულობა 4,623,863 კუბური მეტრია.
ამ ანგარიშის თარიღის მდგომარეობით, მენეჯმენტის შეფასებით, დარჩენილი წიდის რეზერვები საკმარისი იქნება მომდევნო 4-5 წლის განმავლობაში, მიმდინარე საწარმოო სიმძლავრით.
ნედლეულისა და სახარჯო მასალის შემადგენლობაში შედის წიდა–ეზო 1,966,512 ლარის ღირებულებით (2017: 2,382,394 ლარი).

11 ფული და ფულადი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული	42	1,589
მიმდინარე ანგარიშები ბანკში:		
დენომინირებული ლარში Gel	2,612,346	1,153,791
დენომინირებული აშშ დოლარში USD	1,108,264	20,711
დენომინირებული ევროში EUR	14,979	1,409
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ჯამში	**3,735,631**	**1,177,500**

ფულისა და ფულადი ექვივალენტების საკრედიტო ხარისხი. ყველა მიმდინარე ანგარიშები ბანკებში მოთავსებულია BB რეიტინგის ბანკში, FITCH რეიტინგის საფუძველზე.

12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი არ არის განსაზღვრული აქციონერის მიერ, ანუ ნულია.

13 სესხები

ჯგუფის სესხები დაჯამებულია ქვემოთ ცხრილში:

აღწერა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
უზრუნველყოფილი სესხები და საკრედიტო ხაზები საქართველოს ბანკათან		
2014 წლის 25 დეკემბერს გაცემული სესხი 15,000,000 აშშ დოლარი, წლიური საპროცენტო 6.657% + 6 M ლიბორ (მაგრამ არანაკლებ 8.25%) და დაფარვის ვადა 2022 წლის 20 მაისი.	18,771,810	22,978,125
3,000,000 აშშ დოლარი გაცემული საქართველოს ბანკის მიერ – 2018 წლის 6 დეკემბერს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 8.66% + საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების კურსი (მაგრამ არანაკლებ 8.25%) იფარება ყოველთვიურად, დაფარვის ვადა 2019 წლის 15 მაისი	8,069,873	–
4,500,000 აშშ დოლარის საკრედიტო ხაზი, გაცემული 2014 წლის 25 დეკემბერს, წლიური საპროცენტო 8.157% + 6M ლიბორ (მაგრამ არანაკლებ 8,25 %) და დაფარვის ვადა 20 ივლისი 2019 წელი	6,696,937	2,852,991
3,000,000 აშშ დოლარი საკრედიტო ხაზი გაცემული 2015 წლის 12 ოქტომბერს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 6.657% + 6M ლიბორ (მაგრამ არანაკლებ 8.25%), გადასახდელი ყოველთვიურად. 2017 წლის 19 სექტემბერს საკრედიტო ხაზი გადაკეთდა განსაზღვრული ვადების სესხად, 3,470,000 აშშ დოლარი, დაფარვის თარიღი 2022 წლის 20 მაისი.	6,190,704	8,303,941
1,500,000 აშშ დოლარი გაცემული საქართველოს ბანკის მიერ – 2018 წლის 16 იანვარს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 6.657 % + 6M ლიბორ (მაგრამ არანაკლებ 8.25%) იფარება ყოველთვიურად, დაფარვის ვადა 2020 წლის 29 დეკემბერი	5,766,324	–
2,000,000 აშშ დოლარი და 500,000 აშშ დოლარი გაცემული სესხი 2015 წლის 12 ოქტომბერს წლიური საპროცენტო განაკვეთით 6.657 % + 6M ლიბორ (მაგრამ არანაკლებ 8.25%) და დაფარვის ვადა 2022 წლის 20 მაისი	2,699,344	3,399,957
1,000,000 აშშ დოლარი გაცემული საქართველოს ბანკის მიერ – 2018 წლის 28 სექტემბერს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 6.06 % + საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების კურსი (მაგრამ არანაკლებ 8.25%) იფარება ყოველთვიურად, დაფარვის ვადა 2020 წლის 25 სექტემბერი	2,368,214	–
70,000 ლარის საკრედიტო ხაზის გაცემული 2016 წლის 16 მარტს, გაიზარდა 140,000 ლარამდე 2016 წლის 15 დეკემბერს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 9% + ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს (მაგრამ არანაკლებ 12%) და დაფარვის ვადა 2018 წლის 24 მაისი.	–	140,000
ბანკის სესხები ჯამში	**50,563,206**	**37,675,014**

არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან		
58,718,082 ლარის სესხი, გაცემული Far View BV-ს მიერ 2012 წლის 1 ოქტომბერს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 20.0% და დასრულების ვადა 2027 წლის 1 ოქტომბერი. ძირითადი თანხა და საპროცენტო სარგებელი გადაიხდება მოთხოვნის საფუძველზე.	75,716,318	69,296,706
8,699,988 აშშ დოლარის სესხი, გაცემული Far View BV-ის მიერ 2013 წლის 31 იანვარს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 20.0%. ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტები გადაიხდება მოთხოვნის საფუძველზე.	42,166,964	39,456,018
6,713,320 აშშ დოლარის სესხი, გაცემული Tolanius Beheer BV-ის მიერ 2013 წლის 27 დეკემბერს წლიური საპროცენტო განაკვეთი 4.75%. ძირითადი თანხა და საპროცენტო სარგებელი გადაიხდება მოთხოვნის საფუძველზე.	19,739,358	19,531,482
დაკავშირებული მხარეების სესხი ჯამში	**137,622,640**	**128,284,206**
სესხები ჯამში	**188,185,846**	**165,959,220**

13 სესხები (გაგრძელება)

სესხების მოძრაობები შემდეგია:

	2018	2017
1 იანვარს	165,959,220	168,102,410
სესხის აღება წლის განმავლობაში	86,776,348	40,976,620
IRFS 9-ზე გადასვლის ეფექტი	(1,537,107)	–
პროცენტის ხარჯი წლის განმავლობაში	14,527,693	14,709,275
პროცენტის გადახდები	(3,720,529)	(3,881,517)
ძირის გადახდები	(77,831,775)	(51,477,751)
შვილობილი კომპანიის რეალიზაცია	(140,000)	–
უცხოური ვალუტის გადაფასება (მოგება / დანაკარგი) ნეტო	3,764,319	(2,469,817)
სხვა	357,677	–
31 დეკემბერს	188,185,846	165,959,220

ფინანსური იჯარის ვალდებულებები: 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა 724,265 ლარის ფინანსური ვალდებულება (2017 წლის 31 დეკემბერი: 887,297 ლარი) წიდის გადამამუშავებელი ხელსაწყოებისა და სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვიდან წარმოქმნილი.
დაგირავებული ქონების შესახებ დეტალებზე იხილეთ შენიშვნა 21–ში.

